დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ თბილისის N117 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მარიამი ხეთაგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

ია ძირკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
რუსუდანი არზიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
მზია კიპაროიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ქეთევან ბერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
სოფიო გელაშვილი(ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
სოფიო თავაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N117 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	208145899

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N7 (ერთი მთლიანი შენობა)
საფოსტო ინდექსი	0152
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	tbilisi117@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	(023) 2 76 64 66
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 71 71 02

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 19 მარტის N MES 8 26 0000163960 ცვლილება: 31/03/2026 წ. NMES 9 26 0000382760
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 16, 17 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N7 (ერთი მთლიანი შენობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N7 (ერთი მთლიანი შენობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N7 (ერთი მთლიანი შენობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საჯარო სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სკოლის თვითშეფასების კითხვარს და დოკუმენტაციას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. სკოლაში ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 მარტის N MES 8 26 0000163960 (ცვლილება: 31/03/2026 ნ. NMES 9 26 0000382760) ბრძანების საფუძველზე 2026 წლის 17 და 18 აპრილს. ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით. ექსპერტთ ჯგუფმა დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა მასწავლებლებს, დირექციას, ადმინისტრაციასა და ტექნიკურ პერსონალს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსიც. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ,

რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა უზრუნველყო საფეხურზე შემავალი საგნების შეფასების რევიზია. შეისწავლა ქართული ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და მე და საზოგადოების საგნობრივი მიმართულების კურიკულუმები და საჭიროებისამებრ მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. ექსპერტს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტებთან. მათ ერთდროულად წარმართეს ინტერვიუირების პროცესი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ **შეესაბამება**

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1750	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო* *პროგრამა)*	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*ხარვეზი*
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	(2027 წლის 9 თებერვლის ჩათვლით) მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
ინდიკატორი N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (25.02.2028 წ.) დაამონტაჟოს ლიფტი, რათა შშმ მოსწავლეებმა შეძლონ სართულებზე გადაადგილება.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა	სკოლამ შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმაში გაწერილი ვადის გათვალისწინებით (22.05.2027 წ.) უზრუნველყოს ლაბორატორიის

	უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სველი წერტილით, ამწოვი კარადით, სასწავლო რესურსებითა და რეაქტივებით აღჭურვა.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმაში გაწერილი ვადის გათვალისწინებით (22.05.2027 წ.) უზრუნველყოს ლაბორატორიის სველი წერტილით, ამწოვი კარადით, სასწავლო რესურსებითა და რეაქტივებით აღჭურვა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.3	**სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობი**	*სასურველია,* სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშვების ჯგუფი მოიცავდეს მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელს.

ინდიკატორი N1.1.1.1	**სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**	სასურველია, ხედვაში ასახული იყოს სკოლის მისწრაფებები, ანუ როგო ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდე ხედვით სკოლა განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალ ვადიან ან გრძელვადიან მიზნებს.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**	1)სასურველია, სკოლამ დაასაქმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. 2) სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს სკოლის გარე პერიმეტრის მოწესრიგება (მოუვლელი ბალახი, სამშენებლო ნარჩენი ა.შ.).
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**საბუნებისმეტყველო** მეცნიერებებში სასურველია რესურსები იყოს მრავალფეროვანი და გამოიყენებოდეს სხვადასხვა პლატფორმა ცოდნის გაღრმავებისა და გააზრებისათვის; სასურველია გამოსწორდეს ტექნიკური ხარვეზი საბაზო საფეხურზე - Vlll კლასის ინგლისურის ენის კურიკულუმში ცნებები მიეთითოს სწორად, ისევე როგორც არის, პირობითად, Vll კლასის კურიკულუმში.
ინდიკატორი N2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კურიკულუმში აისახოს მხოლოდ ის შუალედური მიზნები, რაც რეალურად სრულდება, ასევე თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება; • საბაზო საფეხურზე საგანში მოქალაქეობა სამიზნე ცნებები ეროვნული სასწავლო გეგმასთან უნდა იყოს შესაბამისობაში

		• მე-12 კლასში საქართველოს ისტორიის კურიკულუმში თემები უნდა დაიწეროს მესამე თაობის ე.ს.გ.-ის საშუალო საფეხურის ისტორიის სტანდარტის მიხედვით მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმში თემები უნდა დაიწეროს მესამე თაობის ე,ს,გ,-ის მოქალაქეობის საშუალო საფეხურის სტანდრტის მიხედვით სკოლას წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი/პროექტული დავალებები დანართების სახით,რომელიც საჭიროებს დახვეწას.აუცილებელია შემოქმედებითი დავალებების დანართებში,სადაც დავალების განხორციელების ეტაპებია ჩაშლილი მითითებული იყოს საგნის სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები და საკითხები ,რომელიც თავის მხრივ შესაბამისობაში უნდა იყოს წარმოდგენილ კურიკულუმებთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სასურველია, სამივე **უცხოური ენის** კურიკულუმში შემოქმედებითი/პროექტული ტიპის დავალების იდეები უფრო მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული და წარმოაჩენდეს პროექტის ძირითად ჩანაფიქრს, მოსწავლის საქმიანობასა და მოსალოდნელ საბოლოო პროდუქტს, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს როგორც დავალების მიზნის უკეთ გააზრებას, ისე სასწავლო პროცესის მიზანმიმართულ დაგეგმვას.

		სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ➢ დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკლულუმებში მნიშვნელობანია სრულად იყოს დაცული სტანდარტთან მიმართება. კერძოდ, სტანდარტით განსაზღვრულია სავალდებულო თემატური ბლოკები. სამომავლოდ სასურველია/აუცილებელია კათედრამ კურკულუმები შეიმუშავოს სავალდებულო თემატური ბლოკების გათვალისწინებით. თემატური ბლოკების ფარგლებში განსაზღვროს სარეკომედაციო თემები. ➢ სასურევლია საკითხის გრაფაში არ იყოს სახელმძღვანელოდან გაკვეთილების ჩამონათვალი.სასურველია, . კათედრამ უფრო გააზრებულად განსაზღვროს თემატრუი ბლოკის/თემის/სამიზნე ცნებების ფარგლებში რა საკითხს განიხილავს სასწავლო პროცესში. საგნობრივი/საგაკვეთილო შინაარსი გააზრებულად გააერთიანოს ერთ ან ორი საკითხში. ➢ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მცირე რაოდენობითაა თემები განსაზღვრული. სასურველია, სამომომავლოდ კათედრამ საათობრივი ბადის შესაბამისად შემოიტანოს თემები. ➢ სასურველია კათედრამ სამივე საფეხურზე შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეაფსეის რუბრიკები

		სადაც დეტალრად იქნება თემის/საკითხის ფარგლებში გაწერილი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. ➢ სასურველია შემაჯამებელი დავალების კითხვები ორიენტირებული იყოს პირობისეული ცოდნაზე. წარმოდგენილ შეამაჯმებელებშიი ძირითადი კითხვები გასაზღვრულია ისე, რომ მოსწავლის ცოდნის მრაალომხრივ შეფასებას ვერ უზრუნველყოფს (არ ჩანს საკითხის/თემის კონტექტუალური გააზრება) . **მუსიკა** ➢ სასურველია კათედრამ სამივე საფეხურზე შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეაფსეის რუბრიკები სადაც დეტალრად იქნება თემის/საკითხის ფარგლებში გაწერილი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. ➢ სასურველია შემაჯამებელი დავალების კითხვები ორიენტირებული იყოს პირობისეული ცოდნაზე. წარმოდგენილ შეამაჯმებელებშიი ძირითადი კითხვები გასაზღვრულია ისე, რომ მოსწავლის ცოდნის მრაალომხრივ

		შეფასებას ვერ უზრუნველყოფს (არ ჩანს საკითხის/თემის კონტექტუალური გააზრება) . სახელმწიფო ენის დაწყებით (მე-5-მე-6 კლასები), საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების შემუშავებისას სასურველია დაემატოს სვეტი სახელწოდებით - ,,ტექსტი/ტექსტები", რომელშიც მოქმედ კურიკულუმებში საკითხების სვეტში განთავსებული შესასწავლი ტექსტები და პარაგრაფები დაიწერება. აღნიშნული საფეხურების კურიკულუმებში საკითხების გრაფაში არაა სასურველი ჩამოიწეროს შესასწავლი ტექსტები, ამ ველში საკითხი მხოლოდ მაშინ იწერება, როდესაც პროექტული ტიპის ან შემოქმედებითი ბუნების დავალებაა წარმოდგენილი (მაგ.: თუ დავალების პირობაა მოსწავლემ შექმნას შესწავლილი იგავ-არაკის მთავარი სათქმელის ამსახველი პოსტერი, საკითხი იქნება- იგავ-არაკის მთავარი სათქმელის ამსახველი პოსტერი). **სპორტის** კურიკულუმების კიდევ უფრო მეტად დახვეწის მიზნით, სასურველია სკოლამ გადახედოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში ცალკეული სპორტის სახეობებში (მაგ: გუნდური თამაშები I და II კლასში თემა ფრენბურთი, III კლასში თემა ხელბურთი, VIII კლასში თემა ფრენბურთი, კალათბურთი) გაწერილ საკითხებს. მიზანშეწონილია მათი ფორმულირება უფრო

		მეტად დაუახლოვდეს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სპეციფიკას, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო შინაარსის კიდევ უფრო მკაფიოდ განსაზღვრას.
ინდიკატორი N2.1.2.2.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში** გადამოწმდეს არსებული რესურსები ქმედით უნარიანობაზე, ზოგიერთი მათგანი არ იხსნება, გამდიდრდეს რესურსების ბანკი იქ, სადაც ისინი მწირად არის წარმოდგენილი. სასურველია, უცხოური ენების კურიკულუმის სასწავლო რესურსებში მითითებული ელექტრონული მისამართების ხელმისაწვდომობისათვის მოხდეს მათი პერიოდული გადახედვა/განახლება. **სპორტში** სასწავლო პროცესის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სასურველია კურიკულუმებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ჩანაცვლდეს აქტიური ჰიპერლინკებით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია თითოეული რესურსის (ვიდეო მასალა, მეთოდური სახელმძღვანელო, პრაქტიკული ინსტრუქცია) შინაარსობრივი გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი ზუსტი შესაბამისობა კონკრეტულ თემებთან, სასწავლო საკითხებთან და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან. აღნიშნული ცვლილებები გაამარტივებ მასწავლებლის წვდომას მრავალფეროვან რესურსზე და ხელს შეუწყობ სასწავლო მიზნების უკეთ რეალიზებას.

		სკოლის დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ყველა კურიკულუმში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ ასახონ მარტივი რეალური ან/და ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განისაზღროს დასახელება, სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო) და ნუმერაცია.
ინდიკატორი N2.1.2.3	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**დაწყებითი საფეხურის** ,I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება)საგნების შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.
ინდიკატორი N2.1.2.4	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია კათედრაზე შეთანხმებულად შემუშავდეს შეფასების ერთიანი ფორმა, რომელშიც სამიზნე ცნებები და მისი მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავების დონე უფრო გაზომვადი იქნება. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრის საბაზო და საშუალო საფეხურზე საგანში- მოქალქეობა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შედგენისას,უმჯობესია გაითვალისწინოთ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით და საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგები. უმჯობესია განსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნისას, კრიტერიუმები თემის

		ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორების მიხედვით იქნას შედგენილი **სახელმწიფო ენის** საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ პროექტული ტიპისა და შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების ამსახველ დოკუმენტებში სასურველია დაკონკრეტებული იყოს რომელ გრძელვადიან მიზანს უკავშირდება მოსწავლე აღნიშნული დავალების შესრულების შემთხვევაში. **დაწყებითი საფეხურის,** I-IVკლასების სახეელმწიფო ენა,მათემატიკა,ბუნებისმეტყველების სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მოამზადონ დაწყებითი საფეხურის შერჩეული თემების ან/და საკითხების/ქვესაკითხებთან მიმართებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი N2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**სახელმწიფო ენის** სამივე საფეხურზე სასურველია, სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა.

ინდიკატორი N2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში** სასურველია შეფასების რუბრიკებში სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გაზომვა უფრო თვალსაჩინოდ იყოს შესაძლებელი. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიც საიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვითაა გასაწერი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ესთეტიკურ აღზრდაში** სასურველია კათედრამ ორივე საგანში და სამივე საფეხურზე უფრო დეტალურად განსაზღვროს შეფასების რუბრიკები კონკრეტულ აქტივობებსა და შემოქმედებით დავალებებთან მიმართებით საზმნე ცნებების გათვალისწინებით. **სპორტში** სასურველია გადაიხედოს დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებ ჩანაცვლდეს მხოლოდ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავდეს შესაბამისი სპორტის სახეობების გამომდინარე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და წახალისებაზე.
ინდიკატორი N2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ყველა თემას შეესაბამებოდეს ძირითად რესურსთან ერთად დამხმარე რესურსების მატერიალური ჩამონათვალი და ონლაინ რესურსების გააქტივებული ლინკები.

		სასურველია, **სახელმწიფო ენის** კათედრამ სასწავლო რესურსები პერიოდულად გაახლოს, რათა უფრო ეფექტურად შეძლოს მათი დიფერენცირებული გამოყენება. **დაწყებითი საფეხურის** კურიკულუმები შეივსოს დამატებითი რესურსებით:კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები .სასურველია, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა.
ინდიკატორი N2.2.2.2	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**საზოგადოებრივ მეცნიერებებში** დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსები სასურველია ჰიპერბმულის სახით იყოს წარმოდგენილი: სკოლამ ან კათედრამ **დაწყებითი საფეხურის** საგანმანათლებლო პროგრამაში შეიმუშაოს უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ასახულ არგუმენტირებულ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლამ წარმოადგინა მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა: მისია არის აღზარდოს ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მცოდნე მოქალაქე. სკოლის ხედვაა: სსიპ ქალაქ თბილისის N117 საჯარო სკოლის ხედვაა, წარმართოს მდგარდი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესი. შეძლოს მოსწავლეთა აღჭურვა 21-ე საუკუნის გამჭოლი კომპეტენციებით. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების უნარების განვითარებას. ასევე ისეთი ღირებულებების განვითარებას, როგორიც არის: ღირსება, სამართლიანობა, ურთიერთპატივისცემა, სხვისი აზრის მოსმენა და აღიარება. სკოლას აქვს საკუთარი სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი სამოქმედო და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული და განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები. კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, თანამედროვე სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების ფლობისა და გამოყენების უნარების გამომუშავება, მოსწავლეებს მისცემს მყარ საფუძველს, მომავალში დაძლიონ ცხოვრებისეული გამოწვევები. სკოლის ღირებულებებია: 1. თანამშრომლობა; 2. გუნდურობა; 3. გამჭირვალობა; 4. დემოკრატია; 5. ობიექტურობა; 6. ტოლერანტობა; 7. პატრიოტიზმი; 8. პასუხისმგებლობა; 9. განვითარება და ინოვაციურობა. **ინდიკატორი 1.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა სასკოლო საზოგადოებისთვის წარმოადგენს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო კულტურულ სივრცეს. სკოლას აქვს მისია, ხედვა, ღირებულებები. სკოლის ფილოსოფიის შემუშვების დროს ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. სკოლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის ფილოსოფიიდან. სკოლის დირექცია ზრუნავს, რომ სკოლა იყოს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო. სკოლაში დაცულია მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოება.

სკოლაში მოქმედებს უსაფრთხოების დაცვის შემდეგი მექანიზმები: სკოლას ჰყავს მანდატური, რომელი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზეა პასუხისმგებელი. სკოლაში მოქმედებს მორიგეობის სისტემა. მორიგე მასწავლებლები ეზოსა და სკოლის სართულებზე მთელი დღის განმავლობაში მეთვალყურეობას უწევენ მოსწავლეებს, უზრუნველყოფენ სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. სკოლას ჰყავს 3 დარაჯი. სკოლის პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო სათვალთვალო კამერები. სკოლა დაცულია უცხო პირთა გადაადგილებისგან. კონტროლდება შემოსასვლელი კარი, ეზო. სკოლის დამლაგებლები უზრუნველყოფენ სკოლის შენობაში და სკოლის ეზოში ჰიგიენური ნორმების სრულად დაცვას. სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერმე იკრიბება და განიხილავს განსახორციელებელ ღონისძიებებს. ფუნქციონირებს სათანადო ტექნიკითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს 2 ექიმი. კვალიფიციური ექიმები უზრუნველყოფენ პირველადი დახმარების გაწევას სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირებისთვის. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩრთულნი პროექტებში, ოლიმპიადებში. მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პროფორიენტაციაზე. **ინდიკატორი 1.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლაში არსებობდა მოქმედი მისია და ხედვა, თუმცა ახალი სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით საჭირო გახდა არსებული ფილოსოფიის გადახედვა. სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის და ღირებულებების) მოდიფიცირებისთვის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის ჩართულობით შეიქმნა სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები) შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ. სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარებაზე პასუხისმგებელმა სამუშაო ჯგუფმა გამოკითხვის საშუალებით შეისწავლა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, ღირებულებები და გამოწვევები. საბოლოოდ კი, მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად, ჩამოყალიბდა სკოლის ფილოსოფია. სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის და ღირებულებების) მოდიფიცირების პროცესი მიმდინარეობდა გუნდური ძალისხმევით, თანამშორმლობითა და გაზიარებული პასუხისმგებლობით. სკოლის განახლებული ფილოსოფია და მასზე დაფუძნებული შვიდწლიანი სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითრების, ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმა პროექტი გაზიარდა პედაგოგიურ საბჭოსთან. **ინდიკატორი 1.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების პირველადი ვერსია შეხვედრებზე გაუზიარა სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, თანამშრომლებს, მშობლებს, მოსწავლეებს. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების დროს დადასტურდა მისიის, ხედვის, ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი 1.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას. მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ.გვერდზეც. **ინდიკატორი 1.1.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სსიპ ქალაქ თბილისის N117 საჯარო სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო** საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. სკოლამ წარმოადგინა სსიპ ქალაქ თბილისის N117 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ ბრძანება N 2-027. დოკუმენტში გაწერილი არის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცედურები. **ინდიკატორი1.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**
   სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც არის ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს. იგი მოიცავს სკოლის განვითარებისათვის მნიშვნელოვან მიმართულებებს. სკოლის ხედვასა და მისიაზე დაფუძნებული სტარატეგიული გეგმა შემუშავებულია მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი 1.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**
   სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. **ინდიკატორი 1.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**
   სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. ერთწლიანი სამუშაო გეგმა გაწერილია ცხრილის სახით კონკრეტული მიზნების შესაბამისი ამოცანების, ვადების, პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების მითითებით. **ინდიკატორი 1.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N117 საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება N2 015;
- სსიპ ქალაქ თბილისის N117 საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N2-026;
- სსიპ ქალაქ თბილისის N117 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ ბრძანება N 2-027;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი N2
- სამეურვეო საბჭო ოქმი N3
- შვიდწლიანი სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითრების მეთოდოლოგია;
- შვიდწლიანი სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითრების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველ 3 (სამ) წელიწადში (შესაბამისი პერიოდის) და 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ (შემაჯამებელი) ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს. სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის/ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

✓ სტრატეგიული მიმართულება;

✓ ამოცანები;

✓ აქტივობები;

✓ მონიტორინგის შედეგები. **ინდიკატორი 1.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შვიდწლიანი სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითრების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სტრუქტურა და თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებში. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, დირექცია, ადმინისტრაცია, მრჩეველთა საბჭო. სტრუქტურები ფუნქციონირებენ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობები დარეგულირებულია პერსონალთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და პირების საქმიანობა ეფუძნება სკოლის წესდების დებულებას. **ინდიკატორი 3.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლამ წარმოადგინა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც არის საქმიანობის დაგეგმვისა და პასუხისმგებლობის განაწილების ეფექტური საშუალება. სკოლის თითოეულმა წარმომადგენელმა იცის საკუთარი საქმიანობა და განსაზღვრულია მისი როლი. სტრუტურული ერთეულებისა და თითოეულ პოზიციაზე დასაქმებული პირის ფუნქციები მკაფიოა და გამჭვირვალე. დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ასახულია მათი ფუნქციები. **ინდიკატორი 3.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა
- ხელშეკრულებები
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია (ოქმები)
- სკოლის სტრუქტურა და თანამდებობრივი ფუნქციები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

პერსონალის მართვის პრაქტიკა ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას და სკოლის შინაგანაწესს, შრომით ხელშეკრულებებს. შრომით ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილი თითოეული თანამშრომლის ფუნქცია მოვალეობა. საგანმანათლებლო პროცესების რეგულირებისთვის სკოლაში შემუშავებულია სასკოლო-სასწავლო გეგმა, საგაკვეთილო ცხრილი. მასწავლებელთა მორიგების ცხრილი, სასწავლო წლის დასაწყისში სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით სკოლის პედაგოგიური საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელშიც გაწერილია სკოლის მისია და მიზნები. იგეგმება სკოლის ახალი მისიისა და ხედვის შემუშავება, რომლის მიღწევაც უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესმა. ახალი სტრატეგიული და მისგან გამომდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის საფუძველზე, სკოლა ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს: დაგეგმვას, დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას, რაც განაპირობებს საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურობას და ეფექტიანობას. **ინდიკატორი 3.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის დირექციამ წარმოადგინა „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“. დოკუმენტი ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტი ციკლი მოიცავს ერთმანეთთან მონაცვლე ოთხ მიმართულებას: დაგეგმვა, ორგანიზაციაში შემოსვლა, სამუშაოს მართვა და ორგანიზაციიდან გასვლა. პერსონალის ინტერვენციული მართვისთვის მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკით დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების დელეგირება სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვას და საგაკვეთილო ცხრილს სკოლა განსაზღვრავს იმგვარად, რომ საჭიროების დადგომისას, შესაბამის კათედრიდან კონკრეტული მასწავლებლის სხვა მასწავლებლით ჩანაცვლების შესაძლებლობას იძლეოდეს. **ინდიკატორი 3.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში პერსონალის მიღება ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. სკოლას დამტკიცებული აქვს ვაკანტურ თანამდებობაზე კადრების შერჩევის წესი. სკოლაში ახალი კადრი შერჩეულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მათი მიღება ემყარება სკოლის საჭიროებებს. სკოლა ვაკანსიის გამოცხადებისას ეყრდნობა სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, კანონს „ზოგადი განათლების შესახებ" განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებასა და შრომის კოდექსს. კონკრეტული ვაკანსიისთვის კი შეიმუშავებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; კონკურსების გამოცხადების, ჩატარებისა და გასაჩივრების წესი და ვაკანსიასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია არის გამჭვირვალე. გარე კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საიტზე https://teacherjobs.ge/, ხოლო შიდა კონკურსი შესახებ - სკოლაში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ 2020 წლის შემდეგ მიღებულ თანამშრომლების პირად საქმეში ინახება ცნობები ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევის შესახებ, სქესობრივი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ. **ინდიკატორი 3.1.2.3. შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, სკოლაში დასაქმებულ პედაგოგს აქვს „ზოგადი განათლების შესახებ" კანონით განსაზღვრული კვალიფიკაცია. სკოლაში დასაქმებულია 82 უფროსი, 8 წამყვანი, 2 მენტორი მასწავლებელი. საჭიროების შემთხვევაში, დასაქმებულის დროებით ჩანაცვლების მიზნით სკოლა ხელშეკრულებას აფორმებს შემცვლელ მასწავლებელთან. სკოლას ჰყავს ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ორი ექიმი, 7 დამლაგებელი, 3 დარაჯი. სკოლაში დასაქმებული ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები დასაქმებულები არიან კანონმდებლობით გათვალისწინებული კვალიფიკაციების შესაბამისად, კონკურსის წესით, საკონკურსო კომისიის მიერ. სკოლამ შეიმუშავა ორგანიზაციული სტრუქტურისა და განსაზღვრა თანამდებობრივი ინსტრუქციების საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლაში არსებული თითოეული საშტატო ერთეულის მიხედვით, რომლითაც იხელმძღვანელებს მომავალში ახალი კადრის შერჩევისას. **ინდიკატორი 3.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები. სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის განვითარების ჯგუფი. სტრუქტურულ ერთეულებში მაქსიმალურად არის პასუხისმგებლობები გადანაწილებული, ყველა სტრუქტურა გადაწყვეტილებებს იღებს გუნდურად და მასში გაერთიანებული თითოეული წევრი მაქსიმალურად მონაწილეობს კონკრეტული აქტივობებისა და პროცედურების განხორციელებაში. მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოებაში წახალისებულია თანამშრომლობითი კულტურა და გუნდურობა. სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ ხდება სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტების (სასკოლო გეგმა, ბიუჯეტი) ერთობლივად შემუშავება. გუნდური მუშაობასა და მაღალ ორგანიზაციულ კულტურაზე მეტყველებს ის, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისას ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი 3.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და გაზიარების მიზნით, სკოლის შინაგანაწესში გაწერილია წახალისების სისტემა, როგორც თანამშრომლების, ასევე მოსწავლეებისთვის. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი(ფულადი)პრემიის გაცემა.
ინდიკატორი 3.1.2.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის სტრუქტურა და თანამდებობრივი ფუნქციები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- მასწავლებლის მიღების ამსახველი დოკუმენტაცია;

- ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიღების ამსახველი დოკუმენტაცია;
- პედსაბჭოს ოქმი N2;
- მოსწავლეთა და მასწავლებელთა დაჯილდოების სასკოლო ღონისძიება;
- ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

პერსონალის შესრულებული სამუშაოს შეფასების მიზნით სკოლა გეგმავს შესრულებული სამუშაოს სისტემატური შეფასებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, რის შემდეგაც ხდება უკუკავშირის მიწოდება. საგაკვეთილო პროცესზე დასწრება ორიენტირებულია თითოეული მასწავლებლის მხარდაჭერაზე. უკუკავშირიდან გამომდინარე დირექცია მასწავლებლებს სთავაზობს აქტივობებს. **ინდიკატორი 3.2.1.1. შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის დირექცია ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. ისინი პერსონალს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას ტრენინგების შესახებ, ამარაგებენ მეთოდური თუ სხვა სახის ლიტერატურით. სკოლას აქვს გამართული კომპიუტერული ლაბორატორია, მუდმივი ინტერნეტით და მასწავლებლებს აძლევს საშუალებას ნებისმიერ დროს დაესწრნენ ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს. 2026 წელს სკოლის ფიზიკის პედაგოგი მოხვდა საქართველოს მასშტაბით 10 საუკეთესო მასწავლებელს შორის, რომლის ფარგლებში სტაჟირებას გაივლის ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაცია -CERN-ში. ასევე, სკოლა ჩართულია e-Twinning-ის პროექტში, რომლის ფარგლებშიც სკოლამ მოიპოვა ეროვნული და ევროპული ხარისხის ნიშნები. გარდა აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისა სკოლა ასევე ზრუნავს ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ამ მიმართულებით სკოლის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის კორდინატორს და ფინანსურ მენეჯერს გავლილი აქვთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სპეციალური 40 საათიანი სასწავლო მოდული:"სახელმწიფო შესყიდვების კურსი". სკოლის თანამშრომლები პროფესიული განვითრების ფარგლებში აქტიურად ერთვებიან სხვადსხვა სახის ტრენინგებში, ვებინარებში და განათლების, მეციერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. კერძოდ, სკოლა ჩართულია ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და ესბ-ს განვითარების ფონდის მეირ ორგანიზებულ ონლაინ ტრენინგში „საჯარო სკოლის ბიბიოთეკარისთვის". სკოლა რაიონულ გამგეობასთან აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში მუდმივად სთავაზობს პერსონალს პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიმართულებით ტრენინგებს. **ინდიკატორი 3.2.1.3. შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ახალ თანამშრომელს სკოლის დირექტორი წარადგენს თანამშრომლებთან, აწვდის ინფორმაციას სკოლაში დამკვიდრებული წესებისა და შიდა რეგულაციების შესახებ, აცნობს დაკისრებულ ფუნქციებს და სკოლის ინფრასტრუქტურას. თანამშრომლების ინტეგრაციის წესი განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. თუ ახალმიღებული კადრი მასწავლებლობის მაძიებელია, აუცილებლად ხდება მასზე ტუტორის მიმაგრება, რომელიც ეხმარება მას უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად სხვადასხვა აქტივობების წარმატებით განხორციელებაში. სკოლაში სტაჟიორის ან პრაქტიკანტის მიღების შემთხვევაში, სკოლა განსაზღვრავს პრაქტიკის ხელმძღვანელს, რომელიც ეხმარება მას ადაპტაციასა და პროფესიული მიმართულებით განვითარების პროცესში. **ინდიკატორი 3.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა მხარს უჭერს მასწავლებლების მიერ გამოთქმულ ინიციატივებს და შესაძლებლობის ფარგლებში, ეხმარება პროექტების, კონფერენციების, სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვაში, რესურსებით უზრუნველყოფის გზით. **ინდიკატორი 3.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- თანამშრომელთა პირადი საქმეები
- საგნობრივი კათედრის (ესთეტიკური აღზრდის) სამოქმედო გეგმა;
- ინტეგრირებული გაკვეთილის ნიმუში;
- მასწავლებლის პორტფოლიო;
- ინიცირების დოკუმენტი;
- სერტიფიკატები სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან;
- სტაჟირების პროგრამა CENR-ში;
- e-Twinning-ის პორტალზე ჩართულობა;
- ხელშეკრულება ბიბლიოთეკარის ტრენინგთან დაკავშირებით.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

საგმაანათლებლო პროცესების რეგულირებისთვის სკოლაში შემუშავებულია სასკოლო-სასწავლო გეგმა, საგაკვეთილო ცხრილი. მასწავლებელთა მორიგების ცხრილი, სასწავლო წლის დასაწყისში სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით სკოლის პედაგოგიური საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელშიც გაწერილია სკოლის მისია და მიზნები. იგეგმება სკოლის ახალი მისიისა და ხედვის შემუშავება, რომლის მიღწევაც უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესმა. ახალი სტრატეგიული და მისგან გამომდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის საფუძველზე, სკოლა ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს: დაგეგმვას, დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას, რაც განაპირობებს საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურობას და ეფექტიანობას. **ინდიკატორი 3.3.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში: ხარისხის მართვის პოლიტიკა, შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში და ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი, კურიკულუმის შემუშავება, მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში. სკოლის მმართველობითი პროცესები: ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა; სკოლის ძირითადი პროცესები: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლის დამხმარე პროცესები: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების

განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; ვ) მატერიალური რესურსის მართვა; ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა; ი) საქმისწარმოება , კარიერული განვითარება; ყველა პროცესი აღწერილია დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე (PDCA) - ციკლის მიხედვით. **ინდიკატორი 3.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების, საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის მოქმედებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს .დისციპლინურ კომიტეტში თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი მოსწავლეები (მოსწავლეთა თვითმმართველობის წარდგენით), მშობლები (სამეურვეო საბჭოს წარდგენით), მასწავლებლები(პედსაბჭოს წარდგენით); სკოლის შინაგანაწესში მკაფიოდ არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და შესაბამისი სახდელები. სკოლა, საჭიროების შემთხვევაში, მშობლის მიმრთვის საფუძველზე, ატარებს სემესტრულ გამოცდას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს სკოლაში დემოკრატიული გარემოს ხელშეწყობას. **ინდიკატორი 3.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვას. სკოლაში მოქმედებს შინაგანაწესი, რომელშიც არის გაწერილი პერსონალის უფლება-მოვალეობები. სკოლის პერსონალის ხელშეკრულებებშიც განსაზღვრულია დასაქმებულის უფლება-მოვალეობები. სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან/და სკოლის ტერიტორიაზე, სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. სკოლას შემუშავებულით აქვს პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი რომელიც არეგულირებს დასაქმებულების უფლება მოვალეობებს. ასევე თანამშრომლები უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას იღებენ ხელშეკრულების პირობების, სკოლის შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების გაცნობით, ადმინისტრაციისა და დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე. მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, ასევე აქვს

შინაგანაწესში ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დისციპლინური კომიტეტი. მოსწავლეთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დირექტორი ან დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც იხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და რეკომენდაციებს წარუდგენს სკოლის დირექტორს შესაბამისი რეაგირებისთვის. სკოლაში მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე იზღუდება სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრის უფლება, სკოლა მას განუმარტავს უფლების შეზღუდვის საფუძველსა და აუცილებლობას. **ინდიკატორი 3.3.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხი უზრუნველყოფისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ბრძანება 2-015
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- ორგანიზაციული სტრუქტურა და თანამდებობრივი ფუნქციები;
- პერსონალის კანონიერი უფლების დაცვის დოკუმენტი;
- მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი N3;
- პერსონალური მონაცემების დაცვის დოკუმენტი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში არის ინფორმაციის მიწოდების მრავალფეროვანი პრაქტიკა. კერძოდ, საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდება ვებ გვერდის, სოციალური ქსელის, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. სასკოლო საზოგადოებას გადაეცემა ინფორმაცია სკოლაში არსებული რეგულაციების, მშობელთა კრებების, ღია კარის დღეების, ექსკურსიების, სასკოლო ღონისძიებების შესახებ. უკუკავშირის მიღება ხდება როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით. გამოყენებულია როგორც სოციალურ ქსელი, ისე ელექტრონული ფოსტა და კითხვარები. **ინდიკატორი 3.3.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში თითოეული წევრის ჩართულობა არის მნიშვნელოვანი. სკოლის წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია კოლეგიური ორგანოების წევრების აქტიურობა და უფლებების სწორი დელეგირება. წარმოდგენილ კოლეგიურ ორგანოებში ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება, აზრის, იდეის, შენიშვნისა თუ რეკომენდაციის გაცემის უფლება. სასკოლო ცხოვრებაში კომიტეტებსა და საბჭოებში წევრობის საშუალებით უზრუნველყოფილია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი 3.3.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1.სამეურვეო საბჭოს ოქმი
2.კლასის დამრიგებლის პორტფოლიო
3.სადამრიგებლო პროგრამები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლის ტერიტორიაზე დაცულია ნებისმიერი პირის ფიზიკური უსაფრთხოება, რომელსაც უზრუნველყოფს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის თანამშრომელი მანდატური. სკოლას 3 ჰყავს დარაჯი. გარდა ამისა, სკოლა აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო კამერებით, როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე. სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრების კონტროლს. ყოველდღიურად, სწავლის დაწყებისთანავე კლასის დამრიგებლები ადგენენ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის მიზეზს. მკაცრად კონტროლდება სკოლაში გარეშე პირთა შემოსვლაც. გარეშე პირთა სკოლაში შემოსვლა დაიშვება მხოლოდ დირექციასთან შეთანხმებით. სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი. ასევე, დამტკიცებულია ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც 2026 წლის 26 თებერვალს შეითანხმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა (N681528). სართულებზე განთავსებულია

ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (ცეცხლმაქრი) და საევაკუაციო გეგმა. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სკოლას მიწერილობა აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან, ხოლო რაც შეეხება შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნას - სკოლას აქვს მიწერილობა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან. სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. კამერები განლაგებულია სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე. დასვენებებზე სისტემატურად ხორციელდება სკოლის პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერება პასუხისმგებელი პირის მიერ. ყველა სართულზე მორიგეობენ მასწავლებელები. დერეფანში და სამასწავლებლოში გამოკრულია მორიგეობის განრიგი. სკოლის შენობის დაცვას ღამის საათებში უზრუნველყოფს დარაჯი. სკოლაში შექმნლილია მრჩეველთა საბჭო. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს სამედიცინო კაბინეტი საჭირო ინვენტარით და პირველადი დახმარების საშუალებებით. სკოლაში დასაქმებულია 2 კვალიფიციური ექიმი. უსაფრთხოებიდან გამომდინარე სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი, რათა დროულად მოახდინოს არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და არყოფნის საფუძვლის მოძიება. დამრიგებელი ამყარებს კომუნიკაციას მშობელთან, იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელმა არ შეატყობინა დამრიგებელს მოსწავლის გაცდენის შესახებ. სკოლის ტერიტორიაზე არსებული ელექტრო გაყვანილობა არის დაცულ მდგომარეობაში. ხარვეზი: სკოლის ეზოს აქვს ჭიშკარი, მაგრამ ღობის მთლიანობა (სკოლის შენობის გვერდით) არის დარღვეული. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმასთნ ერთად გადმოაგზვანა მტკიცებულება იმისა, რომ სკოლის ეზოს ღობის მთლიანობა აღდგენილია.

რჩევა:

სასურველია, სკოლამ დაასაქმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს სკოლის გარე პერიმეტრის მოწესრიგება (მოუვლელი ბალახი, სამშენებლო ნარჩენი ა.შ.)

რეკომენდაცია: სკოლის დირექცია შესაბამისობის გეგმით აცხადებს, რომ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ექნება 2027 წლის 9 თბერვლის ჩათვლით.

ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას ჰყავს ორი ექიმი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში პირველად სამედიცინო დახმარებას უწევს სასკოლო საზოგადოებას. ასევე სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების ყველა ინვენტარით და მედიკამენტით. სკოლის ექიმი საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის" შესაბამისად. **ინდიკატორი 3.4.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლაში არსებობს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო, რომელიც უზრუნველყოფილია შემდეგი მექანიზმებით:ა) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოსთვის დაწესებულია სკოლის მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი (სართულებზე, სკოლის ეზოში); ბ) სკოლაში მანდატურის სამსახური არ ფუნქციონირებს, მაგრამ უსაფრთხოებაზე მუშაობას მონიტორინგს უწევს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი; გ) სკოლაში ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები (კლასის დამრიგებელი, სხვა მოწვეული პირი საჭიროების შემთხვევაში). **ინდიკატორი 3.4.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილია კლასის საათის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. დამრიგებლების მიერ რეგულარულად ხდება მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების დადგენა. დამრიგებლების და დირექციის მხრიდან მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობა ინტენსიური და თანამშრომლობითია. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოსთვის დაწესებულია სკოლის მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი (სართულებზე, სკოლის ეზოში); სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური, მაგრამ უსაფრთხოებაზე მუშაობას მონიტორინგს უწევს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები (კლასის დამრიგებელი, მანდატური); პრევენციული ღონისძიებებისთვის ტარდება საუბრები კლასის დამრიგებელთან, სატელეფონო საუბარი მანდატურის სამსახურთან, ფსიქოლოგთან, ან ონლაინ კონსულტაციები). **ინდიკატორი 3.4.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას აქვს ყველა საჭირო რესურსი სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დასაცავად. სკოლაში დასაქებულია 7 დამლაგებელი, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში. სკოლას ჰყავს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, რომელიც აღწერს სკოლაში არსებული სამეურნეო საქონლის მარაგებს და ადგენს შევსების საჭიროებას. აღნიშნული პირი დამლაგებლებზე გასცემს საჭირო ინვენტარსა და სანიტარული ნორმების დასაცავად საჭირო ქიმიურ საშუალებებს. დამლაგებლები უზრუნველყოფენ დასუფთავებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის N01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციების (,,წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში'') შესაბამისად - ,,წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში'. სკოლას დამლაგებლებისთვის შემუშავებული აქვს სპეციალური სამუშაოს შესრულების აღრიცხვის ფორმა, რომელიც განთავსებულია სკოლის სხვადსხვა სივრცეებში. ასევე, სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული სანიტარულ-ჰიგიენურ კომპანია „შპს აქვა პოინტი-თან", რომელიც ყოველ თვე შიდა სკოლის ტერიტორიას ამუშავებს სადეზინფექციო ხსნარებით.

ინდიკატორი 3.4.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში ბრძანებით არის გამოყოფილი პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. პერსონალური მონაცემების შეგროვება და გამოყენება ხდება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. კლასის ხელმძღვანელები, საჭიროების შემთხვევაში, სოციალურ ქსელში მოსწავლეთა ფოტოებს აქვეყნებენ მშობლების თანხმობით. კლასის კრებებზე არ ხდება კონკრეტული მოსწავლის აკადემიური მოსწრების საჯარო განხილვა.

ხარვეზი: სკოლის ვიდეო სათვალთვალო სისტემა განთავსებულია სპორტულ დარბაზში. სკოლაში არ არის დაცული მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები.

საქართველოს განათლების, მეცნიერებების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება N06/ნ მიხედვით (თავი VI. ,მუხლი 41.) სკოლის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეომონიტორინგის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს სკოლის ყველა დერეფნის, შესასვლელისა (ფოიე) და კიბის უჯრედის ვიდეომონიტორინგსა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. იგივე ბრძანების მიხედვით დაუშვებელია ვიდეომონიტორინგის განხორციელება სკოლის საპირფარეშოში, გამოსაცვლელ ოთახებში, საკლასო ოთახში და სამასწავლებლოში.

საქართველოს კანონი „პერსონალური მონაცემების შესახებ“ (მუხლი 10 ვიდეომონიტორინგის განხორციელება) მიხედვით ვიდეომონიტორინგის განხორციელება დასაშვებია დანაშაულის თავიდან აცილების, მისი გამოვლენის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის,არასრულწლოვანის დაცვის (მათ შორის, მავნე ზეგავლენისგან დაცვის), საიდუმლო ინფორმაციის დაცვის, გამოცდის/ტესტირების მიზნებისთვის, აგრეთვე სხვა საჯარო ან/და სხვა ლეგიტიმური ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად, თუ ვიდეომონიტორინგის განხორციელება მონაცემთა დამუშავების მიზნის ადეკვატური და პროპორციული საშუალებაა. ვიდეომონიტორინგის განსახორციელებლად დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ამ კანონის მე-4 მუხლით დადგენილი პრინციპების შესაბამისად წერილობით განსაზღვროს ვიდეომონიტორინგის მიზანი და მოცულობა, ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობა და ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა, ვიდეოჩანაწერზე წვდომის, მისი შენახვისა და განადგურების წესი და პირობები, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენებისას შესაბამის კერძო ან საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული ყველა პირი წერილობითი ფორმით უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და მისი უფლებების შესახებ.

სკოლამ შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმასთან ერთად გადმოაგზავნა სამსახურეობრივი ბარათი, რომელიც ადასტურებს რომ საჯარო სკოლაში დასაქმებული ყველა პირი ინფორმირებულია ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და მისი უფლებების შესახებ.

რჩევა: სასურველია, ვიდეომონიტორინგის განსახორციელებლად დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა წერილობით განსაზღვროს ვიდეომონიტორინგის მიზანი და მოცულობა, ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობა და ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა, ვიდეოჩანაწერზე წვდომის, მისი შენახვისა და განადგურების წესი და პირობები, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.4.1.6 შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლის მიერ დამტკიცებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში დეტალურადაა განსაზღვრული სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. კერძოდ: განსაზღვრულია იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომლებსაც ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ

მონაცემებზე, განსაზღვრულია მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე წვდომაზე, სკოლაში დამუშავებულ მონაცემების წვდომაზე, ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე უფლებამოსილი პირები. სკოლას დირექტორის ბრძანებით (N1-072) დანიშნული ჰყავს პირი, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალური მონაცემების დაცვაზე. **ინდიკატორი 3.4.1.7 შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.**

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლას აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუქნქციონირების პერიოდული შეფასების პრაქტიკა. სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო. სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება, ოქმები. აღნიშნული დოკუმენტებით და გასაუბრებით დგინდება, რომ მრჩეველთა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, რომელიც შეეხება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებას უმჯობესდება. **ინდიკატორი 3.4.1.8 შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება
2.უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი
3.ხელშეკრულებები (ექიმთან, დარაჯთან, დამლაგებელთან)
4.სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება
5.პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშნვის ბრძანება;
6.საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშნვის ბრძანება
7.პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლას სარგებლობს 13427 კვ.მ. მიწის ნაკვეთით და მასზე განთავსებული 5969.65 კვ.მ. შენობა-ნაგებობებით. სულ სკოლაში არის 43 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, ინდივიდუალური მერხებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით. ასევე, საკლასო ოთახებში, სკოლას განთავსებული აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად. გარდა აღნიშნულისა, სკოლაში არის დირექციის, კანცელარიის, სამედიცინო კაბინეტები, დარაჯის ოთახი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, კვების ბლოკი. თითოეული ოთახი აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. კერძოდ, სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის საკუთრებაშია 119 კომპიუტერი, რომელთა დიდი ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ნაწილი კი სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებში. სკოლას აქვს 6 პრინტერი/ქსეროქსი, 21 პროექტორი, 4 მაგნიტური დაფა, 70 სასკოლო დაფა, 1700 მერხი, 6 სადემონსტრაციო ჭადრაკის დაფა. სამასწავლებლოში განთავსებულია მაგიდები, სკამები, კარადები, პრინტერი. სკოლას აქვს პიანინო და დინამიკები, რომელთა გამოყენება ხდება სხვადასხვა ღონისძიებების დროს. სპორტულ დარბაზში განთავსებულია სპორტული ინვენტარი: კალათბურთის და ფრენბურთის ბადეები, ფეხბურთის და კალათბურთის ბურთები, ბადმინტონის ჩოგნები, ჩოგბურთის მაგიდა, ჭადრაკის დაფები და სხვა სპორტული ინვენტარი. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. რესურსოთახი აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით ინკლუზიური განათლებისათვის. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. შექმნილია უსაფრთხო გარემო, თვალსაჩინო

ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. ყველა სართულზე განთავსებულია გოგონების, ვაჟების და მასწავლებლების სველი წერტილები. სწავლება მიმდინარეობს ერთ სასწავლო კორპუსში, სკოლა აღჭურვილია საჭირო ავეჯით, სკოლის შიგნით მოწყობილია სველი წერტილები, სკოლას აქვს ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლას მიეწოდება წყალი და ელექტროენერგია. სკოლის შენობა საჭიროებს რემონტს. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. გამოყოფილია საკლასო ოთახები, სადაც ტარდება გაკვეთილები, განთავსებულია თვალსაჩინოებები.

ინდიკატორი 3.5.1.1 შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის ტექნოლოგიური სივრცეები და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის მეორე სართულზე განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობენ მასწავლებლები და მოსწავლეები, რომლებსაც სახლში ნაკლებად აქვთ წვდომა ინტერნეტთან. ამ სივრცეებით სარგებლობა შესაძლებელია საგაკვეთილო პროცესის შემდეგ და შაბათ-კვირასაც, ადმინისტრაციასთან შეთანხმების საფუძველზე. საზიარო სივრცეებზე პასუხისმგებელია სკოლის ისტ-ს მასწავლებელი. რადგანაც სკოლაში არის სააქტო დარბაზი, იგეგმება დამატებით სივრცის მოწყობა მოსწავლეებისათვის არაფორმალური ღონისძიებებისა და საკლუბო მუშაობის წარმართვისათვის.

ინდიკატორი 3.5.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით; სკოლას აქვს ბიბლიოთეკა. იგი აღჭურვილია კომპიუტერით, მხატვრული და სასწავლო ლიტერატურით, პერიოდული გამოცემებით (გაზეთები, ბროშურები). ბიბლიოთეკა ღიაა სწავლის პერიოდში და ნებისმიერ მსურველს შეუძლია სარგებლობა. სკოლამ წარმოადგინა კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. **ინდიკატორი 3.5.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლას აქვს სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადვილად მისაწვდომი შესასვლელები ეგრეთწოდებული პანდუსი. სასკოლო საპირფარეშო არის კეთილმოწყობილი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, თუმცა სპეციალური საჭიროების მქონე პირის სკოლის მეორე, მესამე სართულზე გადაადგილებისთვის სჭირდება ადაპტირებული გარემო. სკოლას არ აქვს ლიფტი ან/და პანდუსი სპეციალური შესაძლებლობების მქონე მოსწავლისათვის მეორე, მესამე სართულზე ხელმისაწვდომად.

რეკომენდაცია: სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, რადგან სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისათვის სკოლის შენობის პირველი სართულიდან მეორე, მესამე სართულზე გადაადგილება არ არის ხელმისაწვდომი. შშმ მოსწავლე ლიფტის არ არსებობის გამო ვერ გადაადგილდება სხვადასხვა სართულებზე. მას შეზღუდული აქვს წვდომა როგორც კომპიუტერულ ლაბორატირასთან, ასევე სააქტო დარბაზთან. სკოლა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში (2028 წლის 25 თებერვლამდე) აცხადებს, რომ აღმოფხვრის პრობლემას.

ინდიკატორი 3.5.1.4 ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად. სკოლაში მოქმედებს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. სკოლის ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია, შენობაში, სამივე სართულზე არის დიდი, ნათელი დერეფნები, რომელიც გამოიყენება საგამოფენოდ და ღონისძიებების ორგანიზებისათვის. სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი და კეთილმოწყობილი ეზო. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს თანამშრომლობითი, შემოქმედებითი და სპორტული ღონისძიებების განხორციელებას. **ინდიკატორი 3.5.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანებით დამტკიცებული კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი

2.ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და გრაფიკი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას უზრუნველყოს სკოლის საკუთრებაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია. ლაბორატორია აღჭურვილია ინტერნეტით, კომპიუტერებით. კომპიუტერი განთავსებულია დირექტორის კაბინეტში, სამასწავლებლო ოთახში. სკოლას ასევე სარგებლობაში აქვს პროექტორები, პრინტერი/ქსეროქსის აპარატები. მასწავლებლები ლეპტოპებით სარგებლობენ სასწავლო პროცესში, რომელიც გადასცა სკოლამ საეგებლობისთვის. კომპიუტერული ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. პროექტორები გამოიყენება საგაკვეთილო პროცესის დროს, ასევე ღონისძიებების მიმდინარეობისას და სასკოლო პროექტების განხორციელებისას. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, რომლის მეშვეობითაც მშობელს ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს თავისი შვილის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია. სკოლას ჰყავს კვალიფიციური საინფორმაციო მენეჯერი,

რომელიც საჭიროებისამებრ ეხმარება სკოლის თანამშრომლებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში. ხოლო, კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან გამოყოფილი სპეციალისტი. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. **ინდიკატორი 3.6.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სკოლაში სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით 17:30 საათამდე. სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები იყენებენ სასწავლო მიზნებისთვის ციფრულ ტექნიკას. მაგ: პრეზენტაციებისა და კონფერენციების მოსამზადებლად მოსწავლეებმა გამოიყენეს საძიებო სისტემა, ვიკიპედია, პრეზენტაციები წარმოადგინეს Power Point-ში. სკოლა აღჭურვილია WiFi სიტემით.

ინდიკატორი 3.6.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ინფრასტრუქტურის ვიზულური დათვალიერება
- ინვენტარიზაციის დოკუმენტი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისმწარმოებლის წესი. აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირი უზრუნველყოფს საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას და აღრიცხვას დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად და სასკოლო რეგულაციების მიხედვით. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow) - საშუალებით და მას ახორციელებს საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულ მუშაობას. ბრძანებები ტარდება სპეციალურ ჟურნალებში. სკოლამ წარმოადგინა ბრძანებების ჟურნალები. ჟურნალები არის დანომრილი, დამოწმებული და ინახება საქმისმწარმოებელთან. ყველა შემოსული დოკუმენტი იტვირთება eflow-ს დოკუმენტბრუნვის სისტემაში. **ინდიკატორი 3.6.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები - სკოლა იყენებს ზოგადი განათლების საინფორმაციო სისტემას (E-school.emis.ge). სკოლას აქვს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow). როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის სკოლა იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა office 365. ინფორმაციის და კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა tbilisi117@mes.gov.ge. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი საკუთარი ელექტრონული ფოსტა. სკოლას აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში http://procurement.gov.ge, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია. სკოლა ასევე სარგებლობს და ბაზრის კვლევას ახორციელებს შესყიდვების სააგენტოს მიერ შექმნილ მეილიდან: tbilisi117@procurement.gov.geპირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლას ახორციელებს ბმულზე - registration.emis.ge ყველა პირი, რომელსაც უწევს ჩამოთვლილ პროგრამებში მუშაობა, უზრუნველყოფილია ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერებით. **ინდიკატორი 3.6.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება, მონაცემები მასწავლებელთა დატვირთვის შესახებ, საათობრივი ბადე, კლასის სიები, დამრიგებლები, საგნების განაწილება. **ინდიკატორი 3.6.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის და ღებულობს, ანგარიშებსა და უკუკავშირს, საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბრამდე უგზავნის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტს და აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში, ასევე 20 ნოემბრამდე შესყიდვების გეგმას არეგისტრირებს spa.ge-სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ გვერდზე. ყოველწლიურად 10 დეკემბრამდე დირექტორი ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. **ინდიკატორი 3.6.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
2. საქმისწარმოების წესი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი სკოლების პორტალზე: https://bit.ly/4tBhc0M რომელზეც განთავსებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაცია. ასევე, ინფორმაცია სკოლის აქტივობების შესახებ. სკოლას, ასევე, აქვს სოციალური ქსელის გვერდი (https://www.facebook.com/117skola), სადაც მუდმივად თავსდება მიმდინარე და განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების (სასწავლო პროექტები, კონკურსები, ინტელექტუალური შეჯიბრებები, ოლიმპიადები და სხვა) შესახებ ინფორმაცია. სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლის სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელსაც ხედავენ შესაბამისი მასწავლებლები და მშობლები.

ასევე, ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც. ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვას უზრუნველყოფს სკოლის საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნულ სივრცეში სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე.

ინდიკატორი 3.6.3.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლას აქვს ვებ გვერდი და სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია არის დირქციასთან შეთანხმებული, სანდო და უტყუარი. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დაამტკიცებული ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება.

ინდიკატორი 3.6.3.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. **ინდიკატორი 3.6.3.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებ გვერდი. ვებ გვერდზე გამოქვეყნებულია შემდეგი ინფორამცია: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი 3.6.3.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი - https://bit.ly/4tBhc0M;
- სკოლის სოციალური ქსელი - https://www.facebook.com/117skola;
- მშობელთა თანხმობის ფურცელი პერსონალური მონაცემების შესახებ
- ბრძანება ვებ-გვერდზე და სკოლის სოციალურ ქსელში ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლის ძირითად დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება. სკოლას აქვს ბიუჯეტი, რომელიც სკოლის სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა გასული წლის დეკემბერში. სკოლას დაამტკიცებული აქვს შესყიდვების წლიური გეგმა, რომლის კორექტირებაც ხდება საჭიროებს შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის დაცვით, ყოველი წლის ბოლოს წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს. სკოლამ წარმოადგინა სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი; დირექტორის ფინანსური ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ **ინდიკატორი 3.7.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ბიუჯეტს შეიმუშავებს შემოსავლებისა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, რაც განისაზღვრება სასკოლო საზოგადოების წევრებთან ზეპირი კომუნიკაციის გზით. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. შესყიდვების გეგმა შედგენილია გასულ წლებში განხორციელებული შესყიდვების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში შედის მასში ცვლილებები სკოლის დირექტორის ბრძანების შესაბამისად. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის დაცვით, წარადგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე.

ინდიკატორი 3.7.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

2. სახელმწიფო შესყიდვების გეგმა

3. ბრძანება სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ

4.შესყიდვების გეგმაში ცვლილების შეტანის ამსახველი დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**
   სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა კანონით გათვალიწინებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები. შინაგანაწესი ეყრდნობა მოსწავლეთა ქცევის კოდექსს და ბავშვთა უფლებების კონვენციას. შინაგანაწესში დაწვრილებით არის აღწერილი მოსწავლეთა წახალისების ფორმები, დისციპლინური წარმოების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი. ყველა მოსწავლისათვის თანაბრად ხელმისაწვდომია ხარისხიანი განათლება. სკოლაში მოსწავლეები თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებით, მატერიალური თუ ადამიანური რესურსებით. მათთვის შექმნილია უსაფრთხო, თანამშრომლობითი და ინკლუზიური გარემო. ამასთან, მოსწავლის უფლების დარღვევის შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს კანონთან შესაბამისობაში არსებული ნაბიჯების გადადგმას. სკოლა კოორდინირებულად თანამშრომლობს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან, რომელიც არეგულირებს ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს. ასევე, იცავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) წესს. სკოლის მოსწავლეები წარმოდგენილნი არიან სკოლის სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში, მონაწილეობას იღებენ სკოლის მართვაში. მშობელი და მოსწავლე, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრები, ჩართული არიან სასკოლო

სასწავლო გეგმის შემუშავებაში. სკოლამ წარმოაგინა მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი, მშობელთან ურთიერთობის დებულება. **ინდიკატორი 4.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ, სასწავლო წლის დასაწყისში, დამრიგებლების მეშვეობით მოსწავლე და მშობელი ინფორმირებულია სკოლის შინაგანაწესის და მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტის თაობაზე. გარდა ამისა, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მუდმივად მიეწოდებათ განახლებული ინფორმაცია და ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც მათ უფლებებს ეხება პირდაპირ ან ირიბად. ინფორმაციის გაზიარება ხდება სკოლის ვებ-გვერდზე (სკოლების პორტალი), სოციალური ქსელით და მატერიალური სახით სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკვრით. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეებს და დროს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია წინასწარი შეთანხმების გარეშე შეხვდეს კლასის დამრიგებლებს ან დირექციას და გაეცნოს სასურველ ინფორმაციას. სსიპ ქალაქ თბილისის N117 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომელშიც გაწერილია როგორც სკოლის, ასევე, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები, ვალდებულებები და ურთიერთობის ფორმები. ყველა მოსწავლის მშობელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც, ასევე, გაწერილია მხარეთა უფლებები და მოვალეობები. **ინდიკატორი 4.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა დებს ხელშეკრულებას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სკოლის, მოსწავლისა და მშობლის ვალდებულებები და მოვალეობები. მშობელი კლასის დამრიგებლისგან იღებს ხელშეკრულებას, ეცნობა მას ეთანხმება და აწერს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ერთი რჩება სკოლას და მეორე გადაეცემა ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს. ხელშეკრულების მოქმედების ვადად ითვლება მოსწავლის სკოლაში სწავლის პერიოდი. **ინდიკატორი 4.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი;
- თანხმობის ფურცელი პერონალური მონაცემების დამუშავების თანხმობაზე;
- ხელშეკრულება მშობელთან;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი თითოეულ შემთხვევაში რა გზების და ეტაპების გავლაა საჭირო მშობლისა და სკოლის მხრიდან. სკოლა მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად. პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანების თანახმად. პირვლ ეტაპზე რეგისტრირდებიან სსსმ მოსწავლეები. მეორე ეტაპზე ირიცხებიან მოსწავლეები რომელთა და- ძმა სწავლობს სკოლაში ან მშობელი არის დასაქმებული. ხოლო მესამე ეტაპზე ე. წ. საყოველთაო რეგისტრაცია ხორციელდება ონლაინ registration.emis.ge ვებგვერდის გამოყენებით. დოკუმენტაციის მიღება ხორციელდება კანონით განსაზღვრულ ვადებში. მობილობის შემთხვევაში მშობლის განცხადების სააფუძველზე ელექტრონული ბაზის მეშვეობით ხდება მომართვის დადასტურება და მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვა. სკოლის მოსწავლეების მშობლები ასევე, ინფორმირებულები არიან მობილობის განხორციელების პროცედურების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში, კლასის დამრიგებლები მშობლებს აწვდიან ინფორმაციას სკოლაში მოსწავლის სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურების შესახებ როგორც ინდივიდუალურ შეხვედრებზე, ასევე, სატელეფონო კომუნიკაციისას და მშობელთა კრებებზე. დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებს ატყობინებენ გაცდენების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის, მათ შორის სტატუსის შეჩერების შესახებ. მოსწავლეთა ჩარიცხვასთან/მიღებასთან/საფეხურისდაძლევასთან/მობილობასთან/სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე (სკოლების პორტალზე) და მატერიალური სახით სკოლის საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი 4.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სსიპ თბილისის N117 საჯარო სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, მოსწავლეთა მიღება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების ფარგლებში. კერძოდ, მოსწავლის პირველ კლასში მიღება ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში სპეციალურ პორტალზე (registrations.emis.ge) რეგისტრაციისა და კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ. მოსწავლის სტატუსის არმქონე პირი სხვა კლასებში შეიძლება ჩაირიცხოს დირექტორის ბრძანებით, მშობლის განცხადების საფუძველზე, წინმსწრებ კლასში განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე (მაგ: უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება, ექსტერნად წინა კლასების დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი, საბაზო საფეხურის ატესტატი, წინმსწრების კლასის დაძლევა სხვა სკოლაში). ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად, მოსწავლეების სარგებლობენ მობილობის უფლებით. საჭიროებისამებრ, ჩვენი სკოლის მოსწავლეების მშობლები დამრიგებლებისა და სკოლის საქმისმწარმოებლის მხრიდან ინფორმირებულები არიან მობილობის განხორციელების პროცედურების შესახებ. საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანხმობით, რიგ შემთხვევებში ხორციელდება განსხვავებულ ვადებში მოსწავლის ჩარიცხვა და შეზღუდულ ვადაში მობილობაც. სკოლაში სსსმ მოსწავლეების რეგისტრაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო, სსსმ მოსწავლის სტატუსის მინიჭება ხდება მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილების საფუძველზე. მოსწავლის სტატუსის შეჩერება და აღდგენაც ასევე ხორციელდება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ზედიზედ 45 სასწავლო დღის განმავლობაში გაცდენისა და მშობლის განცხადების საფუძველზე. მოსწავლის მიერ საბაზო ან საშუალო საფეხურის დაძლევა ხდება შესაბამის საფეხურზე შემავალი საგნების დაძლევის შედეგად, კერძოდ, თუ მოსწავლემ საბაზო ან საშუალო საფეხურის ყველა საგანში მიიღო შეფასება 5.0 და შესაბამის საგნებში შეფასდა ,,ჩათვლის'' სისტემით. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს რომელიმე საგანში არ აქვს დადებითი შეფასება, სკოლა უზრუნველყოფს საშემოდგომო გამოცდის ჩატარებას ასეთი მოსწავლისთვის და საშემოდგომო გამოცდის ჩაბარების საფუძველზე ხდება კლასის, შემდეგ კი საფეხურის დაძლევის შედეგის გაფორმება. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის დაძლევა, ასევე, სკოლაში შესაძლებელია, მოხდეს ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. კლასის დაძლევის შესახებ ინფორმაცია განიხილება სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე ყოველი წლის ბოლოს. სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში კლასიდან კლასში გადაყვანა და საფეხურის დაძლევა ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დადგენილი მიზნების მიღწევის შემდეგ, ასევე, შესაძლებელია მოსწავლეს არ ჰქონდეს შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში, მაგრამ მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებით

გადაყვანილ იქნას მომდევნო კლასში. სკოლის მოსწავლის სკოლიდან ამორიცხვა ხდება მშობლის განცხადების საფუძველზე მობილობის პროცესის განხორციელებისას ან საბაზო საფეხურის დაძლევის შემდგომ ან სკოლის მხრიდან, მხოლოდ საშუალო საფეხურის დაძლევისას. საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით, სკოლას წინამდებარე ინფორმაცია განთავსებული აქვს სკოლის ვებ-გვერდზე (სკოლების პორტალზე).

ინდიკატორი 4.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები საჯაროა და ხელმისაწვდომი, განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლაში დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციას. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების და ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე, სასკოლო ექსკურსიებისა და სკოლაში კონკრეტულ სასწავლო წელს შექმნილი კლუბების შესახებ. მოსწავლეებისა და მშობლების არჩევანს მე-2 უცხოურ ენასთან დაკავშირებით სკოლის დირექცია ითვალისწინებს და ასახავს მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც ხელმისაწვდომია მშობლებისა და მოსწავლეებისათვის. **ინდიკატორი 4.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. დამრიგებლები მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან სადამრიგებლო კლასების მშობლებთან და აწვდიან სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას როგორც ინდივიდუალურ შეხვედრებზე, ასევე მშობელთა კრებებზე. სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ პროგრამებს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს, სხვადასხვა სერვისებსა და სასკოლო აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას და სკოლის მიერ დასახული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია იმ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებების შესახებ, რომლებიც მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლის მიერ იყო შეთავაზებული. ვებ-გვერდზე არსებული ეს ინფორმაცია

მუდმივად განახლდება ამ მიმართულებით დანერგილი სიახლეების შესაბამისად. **ინდიკატორი 4.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- პირველ კლასში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- მოსწავლის ჩარიცხვის/ამორიცხვის ბრძანება;
- შეტყობინების ფორმა ექსტერნის და საშემოდგომო გამოცდის შესახებ;
- ექსტერნის გამოცდის კომისიის შექმნის ბრძანება;
- მეორე უცხო ენის არჩვის განცხადების ფორმა;
- პირველკლასელთა მიღებისას სკოლაში წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის ნუსხა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

დირექტორის ბრძანებით დაამტკიცებულია მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის ადაპტაციის წესი, მათ შორის პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეების და მობილობით გადმოსული მოსწავლეების. დოკუმენტი მოიცავს ადაპტაციის პრინციპებს და მნიშვნელოვან ფაქტორებს, რეკომენდაციებს მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისთვის, მოსწავლის სასკოლო გარემოსთან დეზადაპტაციის შემთხვევაში განსახორციელებელი საჭირო ღონისძიებებს.

ინდიკატორი 4.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ასაკისთვის შესაბამისი ზომის ავეჯით. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ასაკის შესაბამისი სასკოლო მერხებით. პირველკლასელთათვის მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანიზებით, სასწავლო წლის პირველ დღეს ტარდება განსხვავებული ფორმატით საზეიმო დახვედრა სკოლის ეზოში. აღნიშნული ღონისძიების მიზანია სხვადასხვა სახალისო აქტივობების მეშვეობით "ყინულის გალღობა" და მოსწავლეთა დაახლოება. ცალკე ეწყობა პირველკლასელთა საზეიმო მიღება. დამრიგებლები ასაკის შესაბამისი აქტივობებით, ხვდებიან მოსწავლეებს. კლასის დამრიგებლები ახალ მოსწავლეებს სწავლის დაწყების შემდგომაც ეხმარებიან სკოლაში ადაპტაციის პროცესში. ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეების გაცნობასა და დამეგობრებას. გარდა ამისა, სკოლაში ახალი მოსწავლის გადმოსვლისას, უმნიშვნელოვანესია კლასის დამრიგებლის როლი და მისი მიდგომები. პირველ რიგში დამრიგებელი თავად იცნობს ახალ მოსწავლეს და შემდგომ წარუდგენს კლასს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჯგუფურ დავალებებს და სხვა ისეთ აქტივობებს, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეებს შორის კომუნიკაციის დამყარებას. ასევე, დამრიგებელი არაფორმალური განათლების შეთავაზების გზით ეხმარება მოსწავლეებს მეგობრული და კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. სკოლაში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში სკოლა ორგანიზებას უწევს მოსწავლისა და მშობლის ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებთან შეხვედრას. თუ მოსწავლეს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, სპეციალური მასწავლებლის გარდა, დამატებით ესაჭიროება ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი, სკოლა უზრუნველყოფს ასეთი სპეციალისტის

(ასისტენტი, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი) მიღებას რათა დროულად და ეფექტიანად განხორციელდეს სსსმ მოსწავლესთან მუშაობა და სასწავლო პროცესში მისი ჩართვა. **ინდიკატორი 4.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად სკოლა მუდმივად ცდილობს უზრუნველყოს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება, რემედიაციის პროგრამის ფარგლებში დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით კონსულტირების გზებს და სწავლების შესაბამის დამატებით მომსახურებას. გარდა ამისა, საგნობრივი პედაგოგები დეტალურ კონსულტაციებს უწევენ მოსწავლეებს შემაჯამებელი დავალებებისათვის, ნიშნის ამაღლების მიზნით , სემესტრული და საჭიროების შემთხვევაში საშემოდგომო გამოცდებისათვის, ექსტერნატის ფორმით კლასის/სემესტრის დაძლევისას ან ეროვნულ ოლიმპიადებში მონაწილეობისათვის. თანამედროვე შეაფასების ელექტრონული სისტემაში- სკოლის ელექტრონულ ჟურნალში ყოველდღიურ აქვს როგორც მოსწავლეს, ისე, მის მშობელს.

ინდიკატორი 4.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებულები არიან მობილობის უფლების შეზღუდვის შესახებ, გაცდენების შემთხვევაში ექსტერნის გამოცდის დანიშვნის და სტატუსის შეჩერების, შინ სწავლების უფლების შესაძლებლობის შესახებ და ა.შ. ეს ინფორმაცია მშობლებისთვის განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. ინფორმაციას დამრიგებლები აცნობენ მშობლებს და მოსწავლეებს. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლის მობილობა, ინფორმირება, ცნობის გაცემის ვადები დაცულია.

ინდიკატორი 4.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. **სკოლაში მოსწავლეთა** ინტერესების გათვალისწინებით მუდმივად იგეგმება სხვადასხვა ტიპის არაფორმალური აქტივობები. აღნიშნული ღონისძიებები/პროექტები ხორციელდება სკოლაში დასაქმებული მაღალკვალიფიციური კადრების ხელმძღვანელობით. სკოლაში მუდმივად ტარდება სასწავლო-შემოქმედებითი ღონისძიებები, სასწავლო-შემეცნებითი სასწავლო აქტივობები, სპორტული შეჯიბრებები, მხიარული სტარტები, ექსკურსიები, ერთობლივი გასვლები მუზეუმებში, თეატრებში და სხვა. სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მთავარ რგოლს წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც შუამავალ როლს ასრულებს სკოლის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციაში. შესაძლებლობის ფარგლებში სკოლის დირექცია განიხილავს მათ ინიციატივებს, მოსაზრებებს და მაქსიმალურად ცდილობს მხარდაჭერას. **ინდიკატორი 4.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა და დაინტერესებულ პირთა მიერ გაცემულ უკუკავშირს. სკოლა გარკვეული პერიოდულობით სპეციალურად შედგენილი კითხვარების მეშვეობით ჩაატარებს კმაყოფილების კვლევას, რომლის შედეგების გათვალისწინებით განახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს და შეეცდება გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი. შესაძლებლობის ფარგლებში დაგეგმავს გასატარებელ ღონისძიებებს მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად. **ინდიკატორი 4.2.1.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- მოსწავლეთა თვითმართველობის 2024-2025 სასწავლო წლის ანგარიში;

- სკოლის სასწავლო გეგმა;
- შინ სწავლებაზე გადასვლის განცხადება და ბრძანება;
- მშობლის შეტყობინების და თანხმობის ფურცელი რემედიაციასთან;
- გახანგრძლივებულის წრე;
- სასკოლო პროექტი „სკოლის ლოგო“/ვიდეო რგოლი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერულ დაგეგმვაში. სკოლაში ტარდება შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, ვიზიტები სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებელში. ასევე სკოლაში მოწვევა ხდება პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებისა, რომლებიც აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიების შესახებ. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის კლასის საათების ფარგლებში. კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეებთან ატარებენ საუბრებს კარიერული დაგეგმვის მიმართულებით. სასკოლო სივრცეში ეწყობა სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და სასწავლებლების მიერ საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეებთან, რაც ეხმარება მათ საკუთარი შესაძლებლობების სწორად დანახვასა და პროფესიის სწორ არჩევაში.

ინდიკატორი 4.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

სკოლა დამრიგებლების დახმარებით მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს ზოგადი განათლების სისტემაში დაგეგმილ სიახლეებთან დაკავშირებით. მუდმივად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლების და მათ მიერ შეთავაზებულ სასწავლო პროგრამების შესახებ. ხელს უწყობს, საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის, უნივერსიტეტების მხრიდან ინიცირებულ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას სკოლაში. სადამრიგებლო საათის ფარგლებში ისინი დროს უთმობენ სხვადასხვა პროფესიების მოსწავლეებისათვის გაცნობას. ასევე, პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული დისკუსიები, იმართება სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე. სამომავლოდ, სკოლა გეგმავს ხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან შეხვედრებს, რომელთა ფარგლებშიც მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ

პროფესიის წარმომადგენლებს დაუსვან შეკითხვები და მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე. **ინდიკატორი 4.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლა გეგმავს ჩაატაროს გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაგეგმავს შემდგომ ეფექტურ ღონისძიებებს ხარისხიანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიწოდების მიზნით. სკოლა სამომავლოდ გეგმავს ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში თბილისის მასშტაბით პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მემორანდუმის გაფორმებას.

ინდიკატორი 4.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანთლებლო დაწესებულებებთან;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- პროფორიენტაციის მიმართულებით დაგეგმილი შეხვედრები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა 17.02.2026 წლის N2-067 წლის ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარების და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი. სკოლაში სწავლობს 50 სსსმ მოსწავლე. სკოლას აქვს ფიზიკური რესურსები, რაც უნდა გამოიყენოს

სსსმ მოსწავლეთა სწავლების უზრუნველსაყოფად, ეს არის სკოლაში არსებული რესურს ოთახი, კომპიუტერი, მოსწავლისთვის საჭირო ადაპტირებული ავეჯი, განმავითარებელი სათამაშოები და სასწავლო ნივთები. სკოლის შენობის შესასვლელში განთავსებულია პანდუსი და პირველ სართულზე ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლაში სწავლობს 2 შშმ პირი, რომელთაგან ერთს ემსახურება ტრანსპორტი. სკოლა სსსმ მოსწავლეებისათვის ქმნის ინდივიდუალურ სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც თავის მხრივ შეიმუშავებენ მოსწავლეზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ინდ. გეგმები საბოლოოდ, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, მტკიცდება სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ. იმ მოსწავლეების შემთხვევაში, რომელბსაც სწავლის დაწყების შემდგომ გამოუვლინდებათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, სკოლა გადის იგივე პროცედურას მათი იდენტიფიცირებიდან ერთი თვის ვადაში.

ინდიკატორი 4.2.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლა სსსმ მოსწავლეებისათვის, ქმნის ინდივიდუალურ სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც თავის მხრივ შეიმუშავებენ მოსწავლეზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ისგ ჯგუფის წევრები - საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი, მშობელი, საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგი და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტი არიან ჩართულნი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევაში. ისინი მუშაობენ კოორდინირებულად, შეიმუშავებენ ჯგუფის შეხვედრის კალენდარს, დასახავენ გრძელვადიან მიზნებს და საბოლოოდ აკეთებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სემესტრის განმავლობაში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეჯამებას. წლის განმავლობაში იკრიბებიან მინიმუმ 4-ჯერ, განიხილავენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, მოდიფიცირებისა თუ სწავლების საკითხებს, მოსწავლის პროგრესს და სხვა. სკოლა მშობელს, ზეპირი კომუნიკაციის გზით, მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლის პროგრესსა და მიღწევებზე. ამჟამად სკოლაში სწავლობს 50 სსსმ მოსწავლე. 4 შშშმ პირი, ეტლით სარგებლობს 2. სკოლაში დასაქმებულია 7 სპეციალური მასწავლებელი, 1 ენისა და მეტყველების სპეციალისტი, 13 სსსმ პირის ასისტენტი. **ინდიკატორი 4.2.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ისგ ჯგუფის ოქმ(ებ)ი;
- ისგ-გეგმები;
- სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილი სასწავლო რესურსები;
- შშმ მოსწავლის ტრანსპორტირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მიწერილობის დოკუმენტაცია ინფრასტუქტურის ადაპტაციაზე.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2025 წლის თებერვლიდან ორი წლის ვადით სკოლას იჯარით აქვს გაცემული სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი და გაფორმებული აქვს დ. ჯ-თან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს თანხმობების საფუძველზე, კვების ობიექტი ფუნქციონირების მიზნით. სკოლა, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ოთხჯერ ახდენს მონიტორინგს სასკოლო კვების ობიექტის (ბუფეტის) კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნასთან შესაბამისობის აქტის საფუძველზე. ასევე, იჯარით აქვს გაცემული სკოლის სარგებლობაში არსებული ფართები, რომლებშიც ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები: ფეხბურთი. ქართული ხალხური ცეკვები, ხელოვნება, სიმღერა. სკოლში ასევე

ფუნქციონირებს სააღმზრდელო საგანმანათლებლო წრე - გახანგრძლივებული (კვების გარეშე) ასევე, სკოლას აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული - საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციასთან. **ინდიკატორი 4.2.4.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების მიწოდების მიზნით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა კლუბებს. სასკოლო კლუბების შეთავაზება ხდება მოსწვალის ინტერესებიდან გამომდინარე. კერძოდ, თავად ბავშვები წყვეტენ, რომელი კლუბებია მათთვის საინტერესო და მისაღები. სკოლაში ფუნქციონირებს „ხელოვნების მოყვარულთა კლუბი“და „ფიზიკის კლუბი“. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას არაფორმალური განათლების მიმართულებით არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად მზადაა მშობლებთან კომუნიკაციისთვის და მშობლებს შესაძლებლობა აქვთ მიმართონ პირდაპირ დირექციას, თუ მათ სურთ კონკრეტული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების მიღება.

ინდიკატორი 4.2.4.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. შრომითი ხელშეკრულებით გაწერილია დასაქმებულის ვალდებულება, დაიცვას უსაფრთხოების წესები. სკოლაში მოქმედი უსაფრთხოების წესებისა და რეგულაციების შესრულებას უზრუნველყოფენ სკოლის დირექცია და მანდატურის სამსახური. **ინდიკატორი 4.2.4.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;

- ბუფეტის იჯარა და ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა;
- კვების ობიექტის მონიტორინგის დოკუმენტი;
- სააღმზრდელო საგანმანათლებლო წრის დოკუმენტაცია;
- ხელოვნების მოყვარულთა კლუბის წესდება: ფიზიკის კლუბის წესდება; წრეების იჯარა და ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც წარმოდგენილია სავალდებულო თემატური ერთეულები, სამიზნე ცნებები, საკითხები და სასწავლო რესურსები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და საგნობრივ სტანდარტთან თანხვედრაშია. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებისა და მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების თანამშრომლობითა და წინა სემესტრის გამოცდილების გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისად შეარჩიეს შემოქმედებითი ტიპის დავალებები. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა მშობლების გამოკითხვის კითხვარები, ანალიზი და ანგარიშები, რომელთა მონაცემებიც გათვალისწინებულ იქნა კურიკულუმების შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია კათედრის ყველა წევრი. კათედრაზე პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. მათ აღნიშნეს, რომ წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, რის საფუძველზეც იგეგემება მოსწავლეთა ინტერსებზე მორგებული კურიკულუმი. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ სასკოლო პროექტებს. მოსწავლეებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ თავად მოსწავლეთა ინტერესები გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში, ასევე, სკოლამ წარმოადგინა მშობელთა გამოკითხვის კითხვარები და მათი ანალიზი, რითიც დასტურდება მშობელთა ჩართულობა კურიკულუმების შემუშავების პროცეში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგებთან ინტერვიურების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კათედრებმა/მასწავლებელთა ჯგუფებმა შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმები. სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით კურიკულუმი გაზიარებული იქნება და ხელმისწავდომი გახდება სასკოლო საზოგადოებისთვის. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ

მასწავლებლები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმს და ისინი ინფორმირებულნი არიან მის შესახებ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ასევე ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი მშობლებთან გაზიარებულ იქნა როგორც სოციალური მედიის საშუალებით, ისე მშობელთა კრებებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მშობელთა კითხვარები და მათი ანალიზი.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ძირითადად უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას სწავლების სამივე საფეხურზე, განსაზღვრულია სასწავლო თემები ეროვნული სასწავლო გეგმისა და სტანდარტის გათვალისწინებით, შუალედურ მიზნებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, ელექტრონული რესურსები ეხმარება მოსწავლეებს საკითხის უკეთ გააზრებაში;

	რჩევა: სასურველია რესურსები იყოს მრავალფეროვანი და გამოიყენებოდეს სხვადასხვა პლატფორმა ცოდნის გაღრმავებისა და გააზრებისათვის; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემუშავებული კურიკულუმები **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო საფეხურზე** იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებასა. ძირითადი კონტექს-მაგალითები ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენება, მაგ. ინტერნეტ რესურსები, დამატებითი ლიტერატურა, ექსკურსიები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლამ წარმოადგინა უცხოური ენების (ინგლისური ენა, რუსული ენა, გერმანული ენა) მიმართულებით ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები, რომლებიც მთლიანობაში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას გრძელვადიანი საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისად. დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, შესაბამისი რესურსები. შემოქმედებითი პროდუქტი შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების ეტაპების გათვალისწინებით, რომელიც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და სრულად წარმოაჩინოს საკუთარი თავი. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული მდგრადი განვითარების ფარგლებში განხორციელებულ პროექტებსა და სხვადასხვა სასკოლო თუ საგანმანათლებლო ღონისძიებაში, რაც დადებითად

	აისახება მათი შემოქმდებითი უნარებისა განვითარებასა და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე. **რჩევა:** **1. სასურველია გამოსწორდეს ტექნიკური ხარვეზი საბაზო საფეხურზე - VIII კლასის ინგლისურის ენის კურიკულუმში ცნებები მიეთითოს სწორად, ისევე როგორც არის, პირობითად, VII კლასის კურიკულუმში.** **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე მტკიცებულებებით წარმოდგენილი საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/პროექტული სწავლება)) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. შერჩეული თემები, საკითხები, შემოქმედებითი დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სამივე საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სახელმწიფო ენაში სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოოდგენს მოსწავლეზე ორიენტირებლი პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან მათში ასახულია თუ რა თემებს, საგნობრივ საკითხებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს ეროვნულის სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. საგნობრივ კურიკულუმებში რამდენიმე თემის ფარგლებში მოცემულია შემოქმედებითი თუ პროექტული ტიპის

	დავალების იდეა, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს (ერთ ან რამდენიმე სამიზნე ცნებას). **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	ქალაქ თბილისის №117 საჯარო სკოლის კურიკულუმი აშკარად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და წარმოადგენს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვისა და განვითარების საფუძველს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პრაქტიკული მასალები ცხადყოფს, რომ სწავლება ორიენტირებულია მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობაზე, დამოუკიდებელ აზროვნებასა და შემოქმედებით საქმიანობაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესში ფართოდ გამოიყენება პროექტული და შემოქმედებითი დავალებები, სადაც მოსწავლეები ქმნიან რეალურ პროდუქტებს და ახდენენ ცოდნის ინტეგრირებას. STEAM მიმართულებით განხორციელებული აქტივობა — „ხელოვნება გეომეტრიული ფორმებით — ჩემი კუბისტური ნახატი“ — წარმოადგენს წარმატებულ მაგალითს, თუ როგორ ხდება მათემატიკური ცოდნის დაკავშირება ხელოვნებასთან და პრაქტიკულ საქმიანობასთან. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს არა მხოლოდ საგნობრივი ცოდნის, არამედ მაღალი დონის უნარების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, პრობლემის გადაჭრა), რაც სრულად შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები სამივე საფეხურზე აგებულია მოსწავლის საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით და ხელს უწყობს მათ ფიზიკურ განვითარებას. ქმნის გარემოს, სადაც ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და ფიზიკური თვისებების განვითარება ბუნებრივი და უწყვეტი პროცესია. კურიკულუმები შინაარსობრივად აერთიანებს როგორც თეორიული ცოდნის გააზრებას, ისე პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც სწავლების პროცესს მრავალმხრივსა და შედეგზე ორიენტირებულს ხდის. ამგვარი მიდგომა ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების ხარისხს.

	ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	კურიკულუმი წარმოდგენილია იმგვარად, რომ გაითვალისწინოს სწორად დაგეგმოს მოსწავლის განვითარება და წინსვლა. თითოეული თემა გათვლილია მოსწავლეთა ინტერესებზე და შესაძლებლობებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების განხორციელებისას მასწავლებლებს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქვთ შემოქმედებითი დავალებებით სწავლება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გააზრებულია შედეგები,, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ, მაგრამ გაწერილი უფრო მეტია, ვიდრე რეალურად შესრულებული.

	რჩევა: კურიკულუმში აისახოს მხოლოდ ის შუალედური მიზნები, რაც რეალურად სრულდება, ასევე თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია;**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმები **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო საფეხურზე** ძირითადად შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად: გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები/საფეხურის შედეგები, სასწავლო თემები, საკითხთა კლასტერი, სასწავლო რესურსი, შემოქმედებითი პროდუქტის სახით გაწერილი შუალედური მიზნები. შუაედური მიზანი შემოქმედებითი/პროექტული სახის დავალებებით არის წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე. კერძოდ, სასწავლო პროექტები(მაგ. ჩემი მხარის ისტორიული და კულტურული გარემო“)მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლებს განუვითარდეთ თანამშრომლობის პროებლემის გადაჭრის,კომუნიკაციის ემპათიის ,აქტიური მოსმენის უნარები **რჩევა** • **საბაზო საფეხურზე საგანში მოქალაქეობა სამიზნე ცნებები ეროვნული სასწავლო გეგმასთან უნდა იყოს შესაბამისობაში** • **მე-12 კლასში საქართველოს ისტორიის კურიკულუმში თემები უნდა დაიწეროს მესამე თაობის ე.ს.გ.-ის საშუალო საფეხურის ისტორიის სტანდარტის მიხედვით** **მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმში თემები უნდა დაიწეროს მესამე თაობის ე,ს,გ,-ის მოქალაქეობის საშუალო საფეხურის სტანდრტის მიხედვით** **სკოლას წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი/პროექტული დავალებები დანართების სახით,რომელიც საჭიროებს დახვეწას.აუცილებელია შემოქმედებითი დავალებების დანართებში,სადაც დავალების განხორციელების ეტაპებია ჩაშლილი მითითებული იყოს საგნის სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები და საკითხები ,რომელიც თავის მხრივ შესაბამისობაში უნდა იყოს წარმოდგენილ კურიკულუმებთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან**

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს საგნობრივი სტაბნდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ორივე უცხო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში შემოქმედებითი პროდუქტის იდეები წარმოდგენილია იმდაგვარად, რომ განსახორციელებელი აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას. კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, განსაზღვრულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, შესაბამისი რესურსები, რასაც უშუალოდ უკავშირდება შემოქმედებითი პროდუქტი. მათი განხორციელების პროცესში საჭირო იქნება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებისთვის ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) განვითარებაზე, შესაბამისად, სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. **რჩევა:** 1. **სასურველია, სამივე უცხოური ენის კურიკულუმში შემოქმედებითი/პროექტული ტიპის დავალების იდეები უფრო მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული და წარმოაჩენდეს პროექტის ძირითად ჩანაფიქრს, მოსწავლის საქმიანობასა და მოსალოდნელ საბოლოო პროდუქტს, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს როგორც დავალების მიზნის უკეთ გააზრებას, ისე სასწავლო პროცესის მიზანმიმართულ დაგეგმვას.**

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნების სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , განსაზღვრულია /თემები/საკითხები ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურების შედეგები და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. ინდიკატორი შესაბამისობაშია, თუმცა სასურველია სამომავლოდ სკოლამ/კათერდამ გაითვალისიწნოს შემდეგი რჩევები: **რჩევები** **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება** ➢ **დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკლულუმებში მნიშვნელობანია სრულად იყოს დაცული სტანდარტთან მიმართება. კერძოდ, სტანდარტით განსაზღვრულია სავალდებულო თემატური ბლოკები. სამომავლოდ სასურველია/აუცილებელია კათედრამ კურკულუმები შეიმუშავოს სავალდებულო თემატური ბლოკების გათვალისწინებით. თემატური ბლოკების ფარგლებში განსაზღვროს სარეკომედაციო თემები.** ➢ **სასურევლია საკითხის გრაფაში არ იყოს სახელმძღვანელოდან გაკვეთილების ჩამონათვალი.სასურველია, . კათედრამ უფრო გააზრებულად განსაზღვროს თემატრუი ბლოკის/თემის/სამიზნე ცნებების ფარგლებში რა საკითხს განიხილავს სასწავლო პროცესში. საგნობრივი/საგაკვეთილო შინაარსი გააზრებულად გაერთიანოს ერთ ან ორი საკითხში.** ➢ **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მცირე რაოდენობითაა თემები განსაზღვრული. სასურველია, სამომომავლოდ კათედრამ საათობრივი ბადის შესაბამისად შემოიტანოს თემები.**

	➢ სასურველია კათედრამ სამივე საფეხურზე შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეაფსეის რუბრიკები სადაც დეტალრად იქნება თემის/საკითხის ფარგლებში გაწერილი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. ➢ სასურველია შემაჯამებელი დავალების კითხვები ორიენტირებული იყოს პირობისეული ცოდნაზე. წარმოდგენილ შეამაჯმებელებშიი ძირითადი კითხვები გასაზღვრულია ისე, რომ მოსწავლის ცოდნის მრაალომხრივ შეფასებას ვერ უზრუნველყოფს (არ ჩანს საკითხის/თემის კონტექტუალური გააზრება) მუსიკა ➢ სასურველია კათედრამ სამივე საფეხურზე შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეაფსეის რუბრიკები სადაც დეტალრად იქნება თემის/საკითხის ფარგლებში გაწერილი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. ➢ სასურველია შემაჯამებელი დავალების კითხვები ორიენტირებული იყოს პირობისეული ცოდნაზე. წარმოდგენილ შეამაჯმებელებშიი ძირითადი კითხვები გასაზღვრულია ისე, რომ მოსწავლის ცოდნის მრაალომხრივ შეფასებას ვერ უზრუნველყოფს (არ ჩანს საკითხის/თემის კონტექტუალური გააზრება) ინდიკატორი შესაბამისობაშია
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმები აკმაყოფილებენ ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათში წარმოდგენილია ყველა ძირითადი კომპონენტი: თემები, საკითხები, შუალედური მიზნები, საგნის სწავლებისას მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები , ძირითადი და დამხმარე რესურსები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და კონკრეტული ნიმუშები გვაძვლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლეთა მიღწევებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით აფასებს. **რჩევა:** სახელმწიფო ენის დაწყებით (მე-5-მე-6 კლასები), საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების შემუშავებისას სასურველია დაემატოს სვეტი სახელწოდებით - ,,ტექსტი/ტექსტები", რომელშიც მოქმედ კურიკულუმებში საკითხების სვეტში განთავსებული შესასწავლი ტექსტები და პარაგრაფები დაიწერება. აღნიშნული საფეხურების

	კურიკულუმებში საკითხების გრაფაში არაა სასურველი ჩამოიწეროს შესასწავლი ტექსტები, ამ ველში საკითხი მხოლოდ მაშინ იწერება, როდესაც პროექტული ტიპის ან შემოქმედებითი ბუნების დავალებაა წარმოდგენილი (მაგ.: თუ დავალების პირობაა მოსწავლემ შექმნას შესწავლილი იგავ-არაკის მთავარი სათქმელის ამსახველი პოსტერი, საკითხი იქნება- იგავ-არაკის მთავარი სათქმელის ამსახველი პოსტერი). **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის კურიკულუმი სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან. დოკუმენტაციაში სწორად არის განსაზღვრული სამიზნე ცნებები, თემები და საკითხები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას. სასწავლო აქტივობები მიზანმიმართულად არის შერჩეული და ემსახურება როგორც ცოდნის, ისე უნარების განვითარებას. ინტეგრირებული გაკვეთილები (მათემატიკა+ხელოვნება, მათემატიკა+ქართული) და კომპლექსური დავალებები ნათლად აჩვენებს, რომ სწავლება სცილდება ერთ საგანს და ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერს სხვადასხვა კონტექსტში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნის გამოყენებას რეალურ სიტუაციებში და სრულ შესაბამისობაშია ეროვნული მიზნებით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	შემუშავებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებსა და საგანმანათლებლო მიზნებს. შემოქმედებითი პროდუქტები როგორიცაა სპორტული ფესტივალები და მოძრავი თამაშები, ქმნის პრაქტიკულ გამოცდილებაზე ორიენტირებულ გარემოს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური პასუხისმგებლობის, გუნდური მუშაობისა და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს **ინდიკატორის სრულად დაკმაყოფილებას სამივე საფეხურზე** **რჩევა: კურიკულუმების კიდევ უფრო მეტად დახვეწის მიზნით, სასურველია სკოლამ გადახედოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში ცალკეული სპორტის**

	სახეობებში (მაგ: გუნდური თამაშები I და II კლასში თემა ფრენბურთი, III კლასში თემა ხელბურთი, VIII კლასში თემა ფრენბურთი, კალათბურთი) გაწერილ საკითხებს. მიზანშეწონილია მათი ფორმულირება უფრო მეტად დაუახლოვდეს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სპეციფიკას, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო შინაარსის კიდევ უფრო მკაფიოდ განსაზღვრას.
ტექნოლოგიები	მოწოდებული კურიკულუმები მოიცავს ესგ-ით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. საგნის მასწავლებელს გააზრებული აქვს ესგ-ით განსაზღვრული მიზნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს შემოქმედებითი დავალების პროდუქტები, განხორციელებული პროექტები, ღონისძიებები რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს კრიტიკულ და შემოქმედებითი აზროვნებას. სკოლის მიერ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი **ბუნებისმეტყველების,მათემატიკის,სახელმწიფო ენის** პერველი, მე-2, მე-3, მე-4 კლასების კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, კურიკულუმებში ასახული შუალედური მიზნები, აგრეთვე, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრისთვის ძირითად რესურსს წარმოადგენს გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელო და ტელესკოლის გაკვეთილები, სასურველია რესურსების გამდიდრება და სხვადასხვა პლატფორმის გამოყენება, რომ მოსწავლისათვის მასალა უფრო ადვილად აღქმადი გახდეს; **რჩევა: გადამოწმდეს არსებული რესურსები ქმედით უნარიანობაზე, ზოგიერთი მათგანი არ იხსნება, გამდიდრდეს რესურსების ბანკი იქ, სადაც ისინი მწირად არის წარმოდგენილი;** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში ასახულია ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), აგრეთვე დამატებითი ელექტრონული რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს ,ამუშავებს რესურსებს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი.
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს დიფერენცირებულ მიდგომებს. პედაგოგები ძირითად რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ხოლო დამატებით მითითებულია სხვადასხვა ელექტრონული რესურსი, რაც ხელს უწყობს აქტიურ, ჩართულობაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელებას და სასწავლო შედეგების ეფექტიანობის მიღწევას. სკოლაში ასევე შემუშავებულია დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ვალიდაციის წესი, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზანშეწონილობის, სანდოობისა და ხარისხის შეფასებას.

	რჩევა: 1. **სასურველია,** უცხოური ენების კურიკულუმის სასწავლო რესურსებში მითითებული ელექტრონული მისამართების **ხელმისაწვდომობისათვის მოხდეს მათი პერიოდული გადახედვა/განახლება.** **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივ კურიკულუმებში წამოდგემნილია გრიფირებული სახელო,ძღვანელოები, ასევე შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც ხელს უწყობს საკითხის/თემის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას. ამას ადასტურებს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მიერ შექმნილი მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებეი. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბმისობა**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამატებითი, დამხმარე მატერიალური და ციფრული სასწავლო რესურსები) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში გამოყენებული რესურსები მრავალფეროვანია და მიზნობრივად არის შერჩეული, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლის შედეგების მიღწევას. გამოყენებულია როგორც ძირითადი, ისე დამატებითი და ციფრული რესურსები, მათ შორის YouTube, „ტელესკოლა“, Khan Academy, CK-12 და სხვა ელექტრონული პლატფორმები. რესურსები ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და გამოიყენება როგორც გაკვეთილებზე, ისე პროექტულ და შემოქმედებით აქტივობებში. მათ ახლავს მკაფიო ინსტრუქციები, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტიან გამოყენებას როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების მიერ. წარმოდგენილი რესურსები ხელს უწყობს რთული ცნებების უკეთ გააზრებას, მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

	დასტურდება ინდიკატორთან შესაბმისობა
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში ჩაშენებული რესურსები პირდაპირ კავშირშია საგნობრივ სამიზნე ცნებებთან და ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევაზე. კურიკულუმში დეტალურადაა გაწერილი როგორც მატერიალური (სპორტული ინვენტარი, დარბაზის აღჭურვილობა), ისე საგანმანათლებლო-ციფრული რესურსები (წიგნები,). მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე რესურსების ნაწილი წარმოდგენილია დასახელებების სახით, ისინი ვალიდურია და სრულად შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს..**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** **რჩევა: სასწავლო პროცესის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სასურველია კურიკულუმებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ჩანაცვლდეს აქტიური ჰიპერლინკებით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია თითოეული რესურსის (ვიდეო მასალა, მეთოდური სახელმძღვანელო, პრაქტიკული ინსტრუქცია) შინაარსობრივი გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი ზუსტი შესაბამისობა კონკრეტულ თემებთან, სასწავლო საკითხებთან და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან. აღნიშნული ცვლილებები გაამარტივებს მასწავლებლის წვდომას მრავალფეროვან რესურსზე და ხელს შეუწყობს სასწავლო მიზნების უკეთ რეალიზებას.**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია სტანდარტებით გათვალისწინებული კომპიუტერული ლაბორატორია,რომელიც აღჭურვილია მოსწავლეების რაოდენობასთან შესაბამისად. ასევე, სკოლას გააჩნია დამხმარე რესურსები, ბროშურები, პროექტორი და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, განათლების სამინისტროს მოწოდებული და ინტერნეტ რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და

	შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები ასახულია დაწყებითი **საფეხურის** საგანმათლებლო პროგრამის სახელმწიფო ენის,მათემატიკისა და **ბუნებისმეტყველების** პერველი, მე-2, მე-3, მე-4 კლასების კლასების კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში. აღსანიშნავია, რომ **ბუნებისმეტყველების საგნის** სწავლება შეუძლებელია ექსპერიმენტების და ცდების გარეშე, ამიტომ საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოებში, სასწავლო რესურსების სვეტში აუცილებელია მკაფიოდ აისახოს ვირტუალური ან/და ვიდეო ან/და **მარტივი** რეალური (ცოცხალი) ექსპერიმენტები და ცდები. **რჩება:სკოლის დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ყველა კურიკულუმში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ ასახონ მარტივი რეალური ან/და ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განისაზღროს დასახელება, სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო) და ნუმერაცია.** **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმების დათვალერებისას და პედაგოგებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური, გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინტერესი და შესაძლებლობა, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები. ამას მოწმობს

	არაერთი შემოქმედებითი დავალების ამსახველი მოსწავლეთა ნაშრომები, სკოლის სოციალურ ქსელში გაზიარებული აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კურიკულუმი ასევე იძლევა მოდიფიცირების საშუალებას მასში გათვალისწინებული მრავალფეროვანი რესურსების და სასწავლო საკითხების მიხედვით. სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღწერილი მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსოთახი ასევე იძლევა დიფერენცირების საშუალებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს და ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს გარემოსა თუ სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. ეს ყოველივე ქმნის მეტად მოქნილ სასწავლო გარემოს. მიღებულის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ნათლად ასახავს სსსმ მოსწავლეებისათვის როგორ არის ადაპტირებული როგორც შემოქმედებითი პროდუქტი, ისე საგაკვეთილო პროცესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ინკლუზიური განათების სწავლების ამოცანები და შინაარსი. წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მასწავლებლებმა ინტერვიუზე იმსჯელეს კონკრეტული სამიზნე ცნებების, აქტივობების სასწავლო მიზნების შესაბამისად როგორ ახდენენ სასწავლო პროცესის დიფერენცირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ამას ადასტურებს კათერდის მიერ წარმოდგემნილი კონკრეტული ინდგეგმების ნიმუშები. დასკვნის სახით

	შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სახელმწოფო ენის კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ აქვთ დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინების პრაქტიკა. გარდა ამისა, სკოლას აქვს წარმოდგენილი სახელმწიფო ენაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელიც მორგებულია კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე და უზრუნველყოფს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. გარდა ამისა სახელმწიფო ენის კათედრამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლეებისათვის ადაპტირებული რესურსების ამსახველი დოკუმენტაცია. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი პრაქტიკა და მზაობა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი აქტივობების განხორციელების. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი სკოლაში ორგანიზებულია ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვით. წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ) მკაფიოდ ასახავს მოსწავლეთა საჭიროებებს და მათზე მორგებულ აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობას. დიფერენცირებული მიდგომები ხორციელდება როგორც დავალებების მრავალფეროვნებით, ისე სწავლების მეთოდების ადაპტაციით. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა იმუშაონ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობასა და სოციალური უნარების განვითარებას. აღნიშნული მიდგომა ქმნის მხარდამჭერ სასწავლო გარემოს, სადაც ყველა მოსწავლე იღებს შესაძლებლობას საკუთარი პოტენციალის რეალიზებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	მოწოდებული დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კურიკულუმები აგებულია ინკლუზიურობის პრინციპით, სადაც დიფერენცირებული მიდგომები(ნახატების, პოსტერების, კედლის გაზეთების შექმნა) იძლევა შესაძლებლობას, რომ ყოველი მოსწავლე,

	საკუთარი ინტერესებისა და ფიზიკური მონაცემების გათვალისწინებით, აქტიურად იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში. კურიკულუმი ქმნის ადაპტირებულ სასწავლო გარემოს, რომელიც ორიენტირებულია როგორც მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე, ისე მათ შინაგან მოტივაციაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორი სამივე საფეხურზე სრულად დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება ინკლუზიურობა და სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს დააფიქსირა, რომ მოსწავლისადმი მიდგომა ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ხდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), კურიკულუმში თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. პედაგოგებთან გასაუბრებამაც დაადასტურა, რომ მასწავლებლები მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები. მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით აღსანიშნავია, რომ სკოლას დაწყებით საფეხურზე აქვს პედაგოგიური რემედიაციის გამოცდილება, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეთა აკადემიური წარუმატებლობის თავიდან აცილებას. ინტერვიუდან ირკვევა, რომ კურიკულუმის კორექციის პროცესი იყო ბავშვის ტემპზე ადაპტირებული და სპეციალური მეთოდების გამოყენებაზე დაფუძნებული. აღსანიშნია ის, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში, როგორიც არის შემოქმედებითი ბუნების დავალებები და შემაჯამებელი დავალებებში, არ იკვეთება მკაფიო ტენდენცია

	დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომების მიმართ, ამიტომ სკოლას ეძლევა რჩევა: **რჩევა: დაწყებითი საფეხურის** ,I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება)საგნების **შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლეთა შეფასების სისტემა მეტნაკლებად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. პირველადად წარმოდგენილი და დამატებით მტკიცებულების ნუსხაში შეფასებების რუბრიკები გადასახედი და დასახვეწია; **რჩევა: სასურველია კათედრაზე შეთანხმებულად შემუშავდეს შეფასების ერთიანი ფორმა, რომელშიც სამიზნე ცნებები და მისი მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავების დონე უფრო გაზომვადი იქნება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ორიენტირებულია ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე. **რჩევა- საზოგადოებრივი კათედრის საბაზო და საშუალო საფეხურზე საგანში- მოქალქეობა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შედგენისას,უმჯობესია გაითვალისწინოთ მესამე**

	თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით და საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგები. უმჯობესია განსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნისას, კრიტერიუმები თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორების მიხედვით იქნას შედგენილი ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	მოსწავლეთა შეფასების სისტემა მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. კათედრას აქვს სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კათედრაზე ეფექტურად იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელი შეფასების ფორმას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური მიღწევების განსაზღვრას, მის მხარდაჭერასა და განვითარების დინამიკის ჩვენებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები კათედრას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს სამივე საფეხურზე შეფასების რუბრიკები, რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებმა ისაუბრეს აქტივოებებთან მიმართებით მოსწავლეთა შეფასების შესახებ. ასევე იმსჯელეს განმავითარებელი შეფასების ისტრუმენტებზე, რომელსაც იყენებენ სწავლა სწავლების პროცესში მოსწავლის ცოდნის დონის დიაგნოსტირებისთვის და განვითარებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული დავალებების შეფასების კრიტერიუმები, მაგალითად, პროექტული ტიპის დავალებაზე **(პინოქიოს პერსონაჟის გაცნობა და მისი როლის მორგება, მოთხრობის**

	სიუჟეტის გაგრძელება და მასზე დაყრდნობით კომიქსის შექმნა; პრეზენტაციის მომზადება თემაზე „რატომ უნდა გვახსოვდეს გმირი წინაპრები“ და ზეპირი მსჯელობა) მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს - დაწყებითი საფეხური; შემოქმედებითი ბუნების დავალებაზე - **პირადი წერილის შექმნა გიორგი ლეონიძის მოთხრობის „მარიტა“ მიხედვით** - მორგებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (საბაზო საფეხური); პროექტული ტიპის დავალებაზე **-გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე (ტაო-კლარჯეთში ტურისტული მოგზაურობის ამსახველი პრეზენტაციის მომზადება)**- მორგებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა(საბაზო საფეხური); შემოქმედებითი ბუნების დავალებაზე - **ანალიტიკური ესეს დაწერა თემაზე: „წარსულის განცდა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში“**- მორგებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (საშუალო საფეხური) **რჩევა: სახელმწიფო ენის საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ პროექტული ტიპისა და შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების ამსახველ დოკუმენტებში სასურველია დაკონკრეტებული იყოს რომელ გრძელვადიან მიზანს უკავშირდება მოსწავლე აღნიშნული დავალების შესრულების შემთხვევაში.** **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის მრავალმხრივი და სრულად შეესაბამება ეროვნულ მოთხოვნებს. წარმოდგენილია შემაჯამებელი წერითი დავალებები ყველა საფეხურზე, მათი დეტალური ანალიზები და შეფასების რუბრიკები მკაფიოდ გაწერილი კრიტერიუმებით, რაც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობასა და სანდოობას. ასევე აღსანიშნავია მეექვსე კლასში გამოყენებული თვითშეფასების ბარათები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითრეფლექსიასა და სწავლის პროცესში აქტიურ ჩართულობას. შეფასება ორიენტირებულია არა მხოლოდ საბოლოო შედეგზე, არამედ პროცესზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგსა და სწავლის გაუმჯობესებას.

სპორტი	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ეფუძნება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს. შეფასების პროცესში აქცენტი კეთდება გრძელვადიან შედეგებზე, ხოლო პედაგოგების გასაუბრებიდან დგინდება, რომ მათ მიერ აქტიურად გამოყენებულია სიტყვიერი უკუკავშირი, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის გააზრებასა და მოტივაციის ზრდას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** **რჩევა: ესგ მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სასურველია, დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასები) არსებული შეფასების პრაქტიკა გადაიხედოს. კერძოდ, მიზანშეწონილია ,,ჩათვლის' სისტემის ჩანაცვლება მხოლოდ განმავითარებელი შეფასებითა და კომენტარებით, რაც უკეთ ასახავს მოსწავლეთა ინდივიდუალურ განვითარებასა და მიღწევებს**
ტექნოლოგიები	შეფასების მეთოდები შეესაბამება ესგ მიზნებს. მოწოდებული დოკუმენტაცია და მასწავლებლის ინტერვიუ ცხადყოფს, რომ შეფასების მეთოდების შემუშავებისას ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების გათვალისწინება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), კურიკულუმში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები ნაწილობრივ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს შეფასების სისტემის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

	სკოლას ეძლევა რჩევა: **დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების სახელმწიფო ენა,მათემატიკა,ბუნებისმეტყველების სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მოამზადონ დაწყებითი საფეხურის შერჩეული თემების ან/და საკითხების/ქვესაკითხებთან მიმართებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;**
- **კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **შეფასების/ თვითშეფასების რუბრიკები**
- **საგნობრი კათედრების სხდომების ოქმები**
- **დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესების ამსახველი მასალები შეესაბამება სასკოლო კურიკულუმებს, მოსწავლეთა ნაშრომები კურიკულუმში ასახული შემოქმედებითი დავალებების შესაბამისია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია

	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრები ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს, კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების ანალიზის შესაბამისად შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუ. უცხოური ენების კურიკულუმები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და განსაზღვრავს სასწავლო მიზნებს, ამოცანებსა და შედეგებს საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით. წარმოდგენილი შემოქმედებითი ნამუშევრები, იძლევა იმის საშუალებას, რომ დაბეჯითებით ითქვას კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობები პრაქტიკაში რეალურად ხორციელდება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. კათედრას მტკიცებულებების სახით წარმოდგემილი აქვს მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებების/არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორცილებეული აქტივობების ამსახველი დოკუმეტაცია სადაც ჩანს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა პროექტებში, ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში, რაც ნათლად ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით დაგეგმილი და განხორცილებეულია კურიკულუმის შესანაბისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგები ასწავლიან იმ **თემებსა** და **საკითხებს**, რომლებიც კურიკულუმებშია მოცემული, ცდილობენ, კონკრეტული **შუალედური მიზნებით,** იქნება ეს **პროექტული ტიპის** თუ **შემოქმედებითი ბუნების დავალება**, გავიდნენ **გრძელვადიან მიზანზე** და მიაღწიონ **საფეხურის შედეგს**. ცხადია, იყენებენ კურიკულუმებში წარმოდგენილ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ვიანაიდან პროცესი ცოცხალია, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული კურიკულუმებში მცირე ცვლილებების შეტანაც. **რჩევა:** სახელმწიფო ენის სამივე საფეხურზე სასურველია, სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს და არის სისტემურად დაგეგმილი. წარმოდგენილი აქტივობები, მათ შორის პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და შემოქმედებითი დავალებები, ადასტურებს, რომ სწავლება მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული მიზნების შესაბამისად. სასწავლო პროცესი არის თანმიმდევრული და ორიენტირებულია შედეგზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ეფექტიან ათვისებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა, საგნობრივი სტანდარტები და შესაბამისი სამიზნე ცნებები.სასწავლო პროცესში სრულად არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ინტერესები და საჭიროებები. დაგეგმილი აქტივობები და გამოყენებული რესურსები მხარს უჭერენ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას, უზრუნველყოფენ როგორც თეორიული ცოდნის გაგებას, ისე

	პრაქტიკული უნარების ეფექტურ განვითარებას. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილი და შემუშავებულია კათედრის დონეზე და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ამის შესახებ მასწავლებლი ინტერვიუშიც გამოიკვეთა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება) სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, მიემართება გრძელვადიან მიზნებზე, კონკრეტულად კი სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. პედაგოგებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება უნიკალურია და შესაბამისად გეგმავენ ცვლილებები შეიტანონ და უფრო მოქნილი გახადონ კურიკულუმები. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, დოკუმენტაციის და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა ცდილობს საგანმანათლებლო პროცესის გაანალიზებას და ოპტიმიზაციას გარემოებისა და დაინტერესებული მხარეების საჭიროებების გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ მოსწავლეთა, მშობლებისა და პედაგოგიური გუნდის მხრიდან გამოვლენილ საჭიროებებზე სკოლა დროულად რეაგირებს. ამის მაგალითია რემედიაციის გეგმა, რომელშიც ჩანდა მოსწავლის საჭიროებების მიხედვით დასახული მიზნები და პრობლემის აღმოფხვრის გზები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, მრავალფეროვანი და იძლევა საშუალებას შეფასდეს ეროვნული სასწავლო მიზნების შესაბამისი ცოდნა. **რჩევა: სასურველია შეფასების რუბრიკებში სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გაზომვა უფრო თვალსაჩინოდ იყოს შესაძლებელი. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიც საიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვითაა გასაწერი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ შეფასების სისტემაში შეფასების პრინციპები სათანადოდ ინტეგრირებული სასწავლო პროცესში. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებულია მიზნობრივად, კრიტერიუმები მიზნობრივად არის გაწერილი საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან შესაბამისობაში **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე არსებული და გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია თემების ფარგლებში და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. აქვე აღსანიშნავია, რომ მასში ჩანს მკაფიო კავშირი საგნობრივ საკითხებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგს შორის. წინასწარ შემუშავებული შეფასების რუბრიკები ეყრდნობა: საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს, მოსწავლეთა ინტერესებს, სწავლის სტილსა და წინარე გამოცდილებას. ისინი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე საგნების მიხედვით (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/მუსიკა/პროექტული სწავლება) შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია საფეხურის სტანდატრის გათვალისწინებით. კათედრას წარმოდგენილი აქვს კონკრეტული შეფასების რუბრიკები , თუმცა სამომავლოდ შეაფსების კომპონენტში სასურველია კატედრამ გაითვალისწინოს შემდეგი: **რჩევა** ➢ **სასურველია კათედრამ ორივე საგანში და სამივე საფეხურზე უფრო დეტალურად განსაზღვროს შეფასების რუბრიკები კონკრეტულ აქტივობებსა და შემოქმედებით დავალებებთან მიმართებით საზმნე ცნებების გათვალისწინებით.** **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე განხორციელებული პროექტული ტიპის დავალებების გათვალისწინებით შექმნილი და შევსებული განმმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამ ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისობას ადასტურებს სახელმწიფო ენის პედაგოგთა ინტერვიუც, რომლის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი დავალების, წერის, თუ ზეპირი გამოკითხვის წინ მოსწავლეებს დეტალურად აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. გარდა ამისა, სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტი, რომელსაც იცნობს და იზიარებს სახელმწიფო ენის კათედრა. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	ქალაქ თბილისის №117 საჯარო სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა სრულად აკმაყოფილებს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ შეფასება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ და მკაფიოდ გაწერილ კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების ერთგვაროვნებასა და სამართლიანობას ყველა მოსწავლისთვის. სკოლაში გამოყენებულია მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტები, მათ შორის შემაჯამებელი წერითი ტესტები ყველა საფეხურზე, მათი დეტალური ანალიზები და

	შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში კრიტერიუმები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რაც ზრდის შეფასების ობიექტურობას და გამორიცხავს სუბიექტურ დამოკიდებულებას. წარმოდგენილი ანალიზები ადასტურებს, რომ შეფასება არა მხოლოდ შედეგის დაფიქსირებას ემსახურება, არამედ გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვისაც. გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია იმითაც, რომ მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს და აქვთ შესაძლებლობა გაიგონ, რა საფუძველზე ფასდება მათი ნამუშევარი. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია შემოქმედებით პროდუქტებში გამოყენებული თვითშეფასების ბარათები (VI კლასი), რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას შეფასების პროცესში და ზრდის მათ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე. შეფასების სისტემის სანდოობასა და ვალიდურობას ამყარებს ისიც, რომ გამოიყენება სხვადასხვა ტიპის დავალებები — ტესტები, პროექტები, შემოქმედებითი ნამუშევრები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ცოდნისა და უნარების მრავალმხრივ შეფასებას. საერთო ჯამში, შეფასების სისტემა არის კარგად ორგანიზებული, შედეგზე ორიენტირებული და ემსახურება როგორც მოსწავლის მიღწევების ობიექტურ შეფასებას, ისე მისი შემდგომი განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ეფუძნება ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების რუბრიკები ვალიდურია და სრულად პასუხობს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს წინასწარ გაეცნონ იმ კრიტერიუმებს, რომლებითაც მოხდება მათი მიღწევების შეფასება. სასწავლო პროცესში გამოყენებული რუბრიკები ორიენტირებულია გრძელვადიანი მიზნების რეალიზებაზე, თუმცა სისტემის სრულყოფის მიზნით, საჭიროა მეტი აქცენტის გაკეთება განმავითარებელ კომპონენტზე. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**

	რჩევა: სასურველია გადაიხედოს დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ჩანაცვლდეს მხოლოდ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავდეს შესაბამისი სპორტის სახეობების გამომდინარე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და წახალისებაზე.
ტექნოლოგიები	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის რუბრიკები, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლის მიერ მოწოდებულ რუბრიკებში ნათლად იკვეთება ეს ყოველივე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება) მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკებით. სკოლაში შემუშავებულია და დამტკიცებულია შეფასების ვერიფიკაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასების დაგეგმვის, განხორციელების პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმებასა და დასკვნის შემუშავებას. ვერიფიკაციის წესის მიხედვით შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას.დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. კათედრებზე აქტიურად ხდება მასწავლებლებს შორის სასწავლო რესურსების ვალიდურობის გაზომვა, მისი მოდიფიცირება და განახლება. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

   სკოლამ წარმოადგინა, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შექმნილი შეფასების რუბრიკები, რომელსაც იყენებენ 2025-2026 სასწავლო წელს შეფასებისათვის და სწავლის შედეგების გაზომვისა და გაანალიზების მიზნით. სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა დოკუმენტში არ არის ასახული/ გადანაწილებული კონკრეტული ფუნქციები და პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოებაზე. ამასთან დაკავშირებით მიეცათ **რჩევა,** რომ გაითვალისწინონ აღნიშნული. სკოლა ამჟამად მუშაობს ამ დოკუმენტის დახვეწაზე. საგნობრივი კათედრების წევრები კი აანონსებენ, რომ კათედრის სხდომებზე განხილავენ შეფასების სისტემის (ან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხს და ამ დისკუსიის შედეგად დახვეწენ შეფასების ინსტრუმენტებს. საერთო შეფასებით, მათ აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით გამოიყენონ მოსწავლის შედეგების, სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი და აწარმოონ სტატისტიკური შეფასებაც, რომლებიც ტიპური ვერიფიკაციის მეთოდებია.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

   სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები და სხვადასხვა ცნობები. მათზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმის მწარმოებელს. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ ყველა თანამშრომელი იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს და აწვდის ყველა მოთხოვნილ მონაცემს ადმინისტრაციას. სკოლა ინახავს კანონით განსაზღვრული ვადით არსებულ მონაცემებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შეფასების რუბრიკები;**
- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **კათედრების ოქმები;**
- **შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.**

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმების უმეტესობაში მითითებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები. ძირითად რესურსად სახელმძღვანელოს კონკრეტული გვერდებია მითითებული, დამხმარე რესურსებად კი სხვადასხვა ონლაინ რესურსები. **რჩევა: სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ყველა თემას შეესაბამებოდეს ძირითად რესურსთან ერთად დამხმარე რესურსების მატერიალური ჩამონათვალი და ონლაინ რესურსების გააქტივებული ლინკები.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსი: რუკები, ცხრილები და სხვა.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რამდენადაც იგი მოიცავს ძირითად გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მათში მოცემულ დამატებითი მასალების ბმულებს და დამატებით ელექტრონულ რესუსრსებს, რომელებიც მიემართებიან სტანდარტით გათვალისწინებულ სასწავლო თემებს, სამიზნე ცნებებს და შემოქმედებითი პროდუქტების შექმნას. რესურსები განსაზღვრულია კლასებისა და საგნების მიხედვით უშუალოდ საგნის მასწავლებლების მიერ სასწავლო წლის დასაწყისში. სკოლის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაციისა და სკოლის

	მასწავლებელთა ინტერვიუს ანალიზი ცხადყოფს, რომ ნამდვილად გამოიყენება როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილი აქტივობების მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ კათედრა გარდა ძირითადი რესურსებისა, აქტიურად იყენებს დამატებით სასწავლო რესურსებს (მაგ. ტელესკოლა, რეპროდუქციები, აუდიო და ვიზუალი მასალა), რაც მოსწავლეთა შედეგებზე და მათ ნამუშევრებზე აისახება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სწავლებისას სამივე საფეხურზე ეფექტურად გამოიყენება,როგორც ძირითადი ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. აღნიშნული რესურსები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებთან. ძირითად რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რომლებიც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს. **რჩევა:** სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრამ სასწავლო რესურსები პერიოდულად გაახლოს, რათა უფრო ეფექტურად შეძლოს მათი დიფერენცირებული გამოყენება. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები. გამოყენებულია მრავალფეროვანი მასალები — სახელმძღვანელოები, შემოქმედებითი დავალებები, პროექტები და ელექტრონული პლატფორმები (YouTube, „ტელესკოლა“, Khan Academy, CK-12), რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და ცოდნის უკეთ გააზრებას. რესურსები მიზნობრივად არის დაკავშირებული სასწავლო თემებთან და გამოიყენება როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული და შემოქმედებითი აქტივობების დროს (მაგ. STEAM პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები).

	საერთო ჯამში, რესურსების გამოყენება ეფექტიანად უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სპორტული ინვენტარი და სპორტული დარბაზი) რომელიც მნიშვნელოვანია პრაქტიკული უნარების განსავითარებლად. ასევე თეორიული მასალის გაცნობისთვის პედაგოგები იყენებენ დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებს, რესურსების ასეთი კომბინირებული გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას და ხელს უწყობს თითოეული თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** **რჩევა: სასწავლო პროცესში რესურსების მრავალფეროვნების კიდევ უფრო გაზრდის მიზნით, სასურველია მეტი დამხმარე ციფრული რესურსების განახლება და მათი გაწერა კურიკულუმში**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ყველა რესურსი, თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია და დამხმარე ტექნიკა. მასწავლებლის ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლის ხელთ არსებული რესურსი და ასევე ინტერნეტ რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ გამოყენებული **დაწყებითი საფეხურის** ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი კანონმდებლობით

	დადგენილი წესით გრიფირებულია. მიუხედავად ამისა, კურიკულუმების ნაწილი დამატებით ითხოვს რესურების შევსებას და მის გამრავალფეროვნებას, მაგალითად, ასახული უნდა იყოს ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, ვიდეო და ფოტო მასალები, სადემონსტრაციო ვიდეო ექსპერიმენტი, საგანმანათლებლო პლატფორმების რესურსები / ინტერაქტიული სიმულაციები, სპეციალურად შექმნილი მასწავლებლის რესურსები, მაგალითად, პრეზინტაციები, მოკლე თემატური რიდერები, სპეციალურად შექმნილი დიდაქტიკური მასალები (ცხრილები, გრაფიკული ხელსაწყოები), მეთოდური მითითებები, პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოების თანდართული დოკუმენტები (პროტოკოლები, ინსტრუქციები) და ა.შ. აქიდან გამომდინარე **სკოლას ეძლევა რჩევა:** **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შეივსოს დამატებითი რესურსებით:კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები .სასურველია, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა.** **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის კოლეგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი რესურსების არჩევისას კათედრაზე პირველი სხდომისას არჩევენ ვალიდურ სასწავლო რესურსებს, რომელთა ჩამონათვალსაც ათანხმებენ ერთმანეთთან. ყველა რესურსი არის მიზნობრივი, უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო მიზნების მოთხოვნების უკეთ გააზრებას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი ოქმისა და კათედრის სამოქმედო გეგმის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას: სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება იმ დამატებით რესურთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. **რჩევა:** **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსები სასურველია ჰიპერბმულის სახით იყოს წარმოდგენილი:** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხორციელდება განსაზღვრული პროცედურების დაცვით, სკოლას შემუშავებული აქვს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და საგნობრივ სტანდარტებთან. კათედრაზე წინასწარ თანხმდება ახალი სასწავლო მასალა და მისი მიზნობრიობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი რესურსები სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებს, ამასთან, უმრავლეს შემთხვევაში ძირითად რესურსად სახელმძღვანელოებია მითითებული. **რჩევა**

	სასურველია სამომავლოდ კათედრამ შეიმუშაოს რესურსების ვალიდაციის პოლიტიკა და ასახოს კატედრის ოქმიში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ სახელმწიფო ენის კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში დამხმარე სასწავლო რესურსები შერჩეულია გააზრებულად და შეესაბამება კურიკულუმის მიზნებსა და სასწავლო თემებს. გამოყენებულია სანდო და ხარისხიანი პლატფორმები (მაგ. Khan Academy, CK-12, „ტელესკოლა“), რაც მიუთითებს რესურსების ვალიდურობაზე. რესურსების ეფექტიანობა დასტურდება მათი პრაქტიკულ გამოყენებაში — ისინი ინტეგრირებულია გაკვეთილებში, პროექტებსა და შემოქმედებით დავალებებში, ხოლო მიღებული შედეგები აისახება მოსწავლეთა ნამუშევრებსა და შეფასების ანალიზებში. საერთო ჯამში, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების შესაბამისობასა და ეფექტიან გამოყენებას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	სკოლაში არსებული და სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსების, მათ შორის სპორტული ინვენტარის ვალიდაცია ხდება კათედრასთან თანამშრომლობით. ვალიდაციის პროცესში ხდება რესურსების შესაბამისობის შეფასება სასწავლო მიზნებსა და უსაფრთხოების სტანდარტებთან, მათი მდგომარეობის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში განახლება ან დამატებითი მასალების უზრუნველყოფა. ასეთი სისტემა უზრუნველყოფს ეფექტურ, ხარისხიან და უსაფრთხო სასწავლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას, მოტივაციას და სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	სკოლა სწავლის პროცესში ელექტრონული სახელმძღვანელოს გარდა იყენებს შემუშავებულ რესურსებს, ელექტრონული და მატერიალური სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. კათედრებზე აქტიურად ხდება მასწავლებლებს შორის სასწავლო რესურსების ვალიდურობის გაზომვა, მისი მოდიფიცირება და განახლება. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **დაწესებულებას ეძლევა რჩევა:** **სკოლამ ან კათედრამ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შეიმუშაოს უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას აქვს კაბინეტი, აქვს მწირი მატერიალური რესურსები, თუმცა პედაგოგებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ მცირე რესურსებით, იაფი მასალებით უზრუნველყოფენ ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევას. სკოლამ უზრუნველყოს საშუალო და საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო კაბინეტის აღჭურვა სველი წერტილით, ამწოვი კარადით, სასწავლო რესურსებითა და რეაქტივებით. ხარვეზი: სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლის დირექცია შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმით აცხადებს, რომ 22.05.2027 წლისათვის აღჭურავს ლაბორატორიას სველი წერტილით, ამწოვი კარადით, სასწავლო რესურსებითა და რეაქტივებით. **რეკომენდაცია:** შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმაში გაწერილი ვადის გათვალისწინებით (22.05.2027 წ.) სველი წერტილით, ამწოვი კარადით, სასწავლო რესურსებითა და რეაქტივებით. **ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, სხვა რესურსები, წვდომა ინტერნეტთან). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსითა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მოსწავლეებს თანაბრად შეუძლიათ გამოიყენონ საჭირო რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოგდენილი მტკიცებულებებიდან შესაძლებელია დავსკვნათ, რომ სახვით და გამოყენებით ხელოვნაბში/მუსიკაში/პროექტულ სწავლებაში სამივე საფეხურზე (დაწყებითი,საბაზო, საშუალო) სასწავლო შედეგები და შემოქმედებითი პროცესები უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით ასევე სკოლა სრულიად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის დაკმაყოფილებას მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ძირითადი მატერიალური რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე, დამატებითი მატერიალური და ციფრული რესურსები) უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალურ რესურსებს, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. მოსწავლეებს აქვთ

	წვდომა როგორც საკლასო, ისე ვიზუალურ და პრაქტიკულ მასალებზე, რაც აუცილებელია სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულებისთვის. წარმოდგენილი შემოქმედებითი ნამუშევრები და პროექტები (მაგ. გეომეტრიული ფორმების გამოყენებით შექმნილი პროდუქტები) ადასტურებს, რომ რესურსები რეალურად გამოიყენება პრაქტიკაში. ასევე გამოყენებულია ელექტრონული რესურსები, რაც აძლიერებს სასწავლო პროცესს. მატერიალური რესურსები გათვალისწინებულია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩართულობას და ეფექტიან სასწავლო გარემოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რაც ხელს უწყობს სწავლების პროცესის ეფექტურ და მიზნობრივ წარმართვას. სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს, უზრუნველყოფს უსაფრთხო და კომფორტულ გარემოს ყველა აქტივობისთვის. სასწავლო სივრცე მოწყობილია მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს მათ ინდივიდუალურ ჩართულობას, თავისუფალ მოძრაობას და ფიზიკური უნარების სრულყოფილ განვითარებას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული შესაბამისი მატერიალური რესურსით და ინვენტარით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, შესაბამისი სასკოლო სივრცით, საკლასო ოთახები მოწესრიგებულია და სასკოლო აქტივობებისათვის აუცილებელი რესურსებით არის აღჭურვილი. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები.პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შესაძლებელია მარტივი ექსპერიმენტების ჩატარება, ასევე არის სადემონსტრაციო პლაკატები, მულაჟები და სხვა ვიზუალური საშუალებები. რაც უზრუნველყობს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

   სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. სწავლა სწავლების პროცესს წარმართავენ სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული ყველა საგნობრივი დისციპლინის შესაბამისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კონკურსის დებულება
- შრომითი ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს შესაბამისად, ასევე რამდენად მოაქვს დაგეგმილ პროცესს სასურველი შედეგი.

კურიკულუმის მონიტორინგის პროცესი ხორციელდება კათედრის წევრებისა და დირექციის უშუალო თანამშრომლობის შედეგად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით და კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მონიტორინგის პროცესი თანამშრომლობასა და განვითარებაზეა დაფუძნებული და მიზნად ისახავს პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის გზების ძიებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაშ დანერგილი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. ასევე, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ხაზგასმულია, რომ მონიტორინგი და შეფასება მიმართულია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და დახმარებისკენ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია.
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების უპირატესობას, რაც მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით სწავლის შედეგების დიაგნოსტირებას მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება დაწყებით საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი (V-VI კლასები) და განმავითარებელი შეფასების (I-VI კლსები) რუბრიკებით, ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ მზაობა , რომ ცალკეულ ინსტრუმენტებზე და პრაქტიკებზე დაყრდნობით აწარმოონ ჰოლისტური შეფასება. კერძოდ, სასკოლო საზოგადოებას აქვს სწორი ხედვა რომ შეფასება იყოს ინტეგრირებული და ერთიანი და ამასთან, მონაცემების შეგროვება მოახდინონ სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის სხვადასხვა პერსპექტივას, მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მრავალი კონტექსტი, მაგ. მოსწავლეთა ოჯახური პირობები, სოციალური მდგომარეობა, ტრადიციები და ა.შ

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

პედაგოგებთან ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლაში მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება შეფასების რუბრიკების მიხედვით. რომლის დახვეწა სამიზნე ცნებებთან მიმართებით განხორციელდა ვიზიტის პერიოდში. მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა განხორციელებული დიაგნოსტიკური შეფასების შესახებ

ვერანაირი დოკუმენტი, თუმცა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ დაგეგმილი აქვთ დიაგნოსტიკური შეფასება და მზად არიან მომდევნო სასწავლო წლიდან განახორციელონ იგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის სხვადასხვა პერსპექტივას, მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. გასაუბრებისას გამოიკვეთა კათედრის წევრთა მზაობა ურთიერთდაკავშირებულად, სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით მოახდინოს დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მაგალითად, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ შეფასების მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა განვითარების მეთოდოლოგია;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ისინი პერიოდულად ახორციელებენ კურიკულუმის რევიზიას. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მსჯელობენ რომელი კომპონენტი მუშაობს კარგად და სად სჭირდება ცვლილება, შემდეგ კი ქმნიან სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს. გარდა ამისა, მასწავლებლები ურთიერდასწრების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არ არის სრულყოფილი სახით, თუმცა აპირებენ განახლებული დოკუმენტის შემუშავებას დათქმულ

ვადაში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა, რომ მოახდინონ მიმდინარე პროცესების მუდმივი შესწავლა და რეფლექსია მათზე. შესაბამისად, მათ შეუძლიათ ძალისხმევა მიმართონ დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ მზაობა, კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ჩართული იყოს ყველა მასწავლებელი. ამასთან, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია, სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

თარიღი
25/05/2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: